ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეროვნული ნაკრები რუზიკონთან:

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 44
(11 501)

12 – 14 ივნისი, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

- ამბობენ, რომ ფეხბურთში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ისევ ჩივაძე დაუბრუნდება;
- ქოქუაშვილი აცხადებს, რომ არსად არ წავა;
- ჟორდანიას შესაძლებლად მიაჩნია ნაკრები თავად ჩაიბაროს.

## ჩვენს სპორტულ სამყაროში

### «ლელოს» ნომრიდან ნომრამდე

გასული კვირის ბოლოს, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში პრესკონფერენციაზე მიწვეულ ჟურნალისტებს საგანგაშო ფაქტები აუწყეს: უსახსრობის გამო, შეიძლება მონაწილეობა ვერ მივიღოთ ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებში. არანაირი თანხები არაა გამოყოფილი აგრეთვე, ჯერჯერობით ზამთრის და ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის უკეთ მოსამზადებლად.

ასევე ფინანსურმა გაჭირვებამ შეიძლება შინ დატოვოს საქართველოს სამბოს ნაკრები. იუგოსლავიაში ისინი დღეს უნდა გაემგზავრონ, გუშინ 11 ივნისს კი გამგზავრების არანაირი იმედი არ იყო.

თბილისის მერიამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ისნის რაიონში ნონა გაფრინდაშვილის სახელი მიენიჭა ერთ-ერთ ქუჩას. „დრონმა“ კი 10 წლის იუბილე გადაიხადა – გაზეთმა, რომელიც ქართული სპორტის პრობლემებს მუდამ ობიექტურად ეხმიანება.

თბილისის მერიის სპორტისა, სკოლისგარეშე ფიზაღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურმა (უფროსი დავით ჭელიძე) კიდევ ერთ მისაბაძ ღონისძიებას დაუდო სათავე – საქართველოს ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები, დედაქალაქის სპორტის ყოფილ თავკაცებთან ერთად, წინანდალში შეკრიბა და ერთი დღე ამ ისტორიული ადგილის ბუნების წიაღში გაატარეს...

## გამარჯვება აზერბაიჯანში



საქართველოს ეროვნული ნაკრები აგრძელებს გამარჯვებათა სერიას ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე. 9 ივნისს ნაკრებმა ბაქოშიც მოიგო 101:66. ეს უკვე მესამე გამარჯვება იყო. ჩვენები ჯგუფში კვლავ ლიდერია. ბულგარელებმა შინ ბელარუსებს მოუგეს — 90:64.

სატურნირო ცხრილში ახლა ასეთი მდგომარეობაა:

| | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | საქართველო | | 91:75 | 83:78 | 101:61 | 3 | 3 | 0 | 275:214 | 6 |
| 2. | ბულგარეთი | 75:91 | | 90:64 | 101:62 | 3 | 2 | 1 | 266:217 | 5 |
| 3. | ბელარუსი | 78:83 | 64:90 | | 122:50 | 3 | 1 | 2 | 264:230 | 4 |
| 4. | აზერბაიჯანი | 61:101 | 62:101 | 50:122 | | 3 | 0 | 3 | 173:324 | 3 |

## გიწვევთ პრესკონფერენციაზე

დღეს, 12 ივნისს, 13 საათზე, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გაიმართება პრესკონფერენცია ვაჟ კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელებისა და სპორტსმენთა მონაწილეობით.






ევროპის ქვეყნების ჩემპიონატები

## ლევან კალაძის საქმეში ინტერპოლიც ჩაერთო

გუშინ, ტრადიციულ რადიოინტერვიუში და ბრიფინგზე ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ლევან კალაძის გაუჩინარების საქმეში ინტერპოლიც ჩაერთო. „შედგენილია გეგმა, რომლის მიხედვით იმოქმედებს ყველა უწყება, ვისაც ეს ეხება“ – თქვა პრეზიდენტმა.






ძმები მიხაელ და რალფ შუმახერები

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### რუსეთის პრეზიდენტი სპორტულ გმირებს აჯილდოებს

**რუსეთის** პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებში მიღწეული მაღალი შედეგებისთვის, გუშინ, სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა სპორტსმენთა, მწვრთნელთა და სპორტის მუშაკთა დიდი ჯგუფი.

### კიევის „დინამო“ ლიდერად რჩება

**დამთავრდა უკრაინის ჩემპიონატის XXV გადამწყვეტი ტური. კიევის „დინამომ“ სიმფეროპოლის „ტავრიას“ მოუგო 2-1. „შახტიორისა“ და ცსკ-ს შეხვედრა კი 0-0 დამთავრდა. ასე რომ, კიეველები ლიდერობას განაგრძობენ.**

- **ფეხბურთი.** შვედეთის ჩემპიონატი: გიოტებორგი — ჰეკენი 1-1; ნორჩოპინგი — ორებრო 1-5; ტრელებორგი — მალმიო 0-4.



- **ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა გამოაქვეყნა ახალი რეიტინგი და ყველამ სენსაციად აღიქვა იტალიელ ფრანჩისკო კაზაგრანდეს წარმოუდგენლად დაბლა ჩამოქვეითება. ეს მრბოლი დიდხანს იყო რეიტინგის სათავეში, ახლა კი... მერვე ადგილზე გადაინაცვლა. ლიდერი ასევე იტალიელი დავიდე რებელინი გახდა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 2 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 7 თვე და 26 დღე გვაშორებს

8-24 თებერვალი 2002 წ.

## ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში საქართველოს მონაწილეობა საფრთხეშია

MURCIA 2001

ეს ასპარეზობა სულ მალე, 21-27 ივლისს გაიმართება ესპანეთის ქალაქ მურსიაში. საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობა აშკარა საფრთხის წინაშეა, რადგან ჯერჯერობით ერთი თეთრიც არაა გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულებით. არადა, ჩვენი დელეგაციის შემადგენლობა მინიმუმამდეა დაყვანილი. საილუსტრაციოდ გთავაზობთ ადრე გამართულ ანალოგიურ ასპარეზობებში საქართველოს წარგზავნილთა და მათ მიერ მოპოვებული მედლების რაოდენობრივ შემადგენლობას.

| ღონისძიების № რიგითი | ქვეყანა, ქალაქი | მონაწ. რ-ბა საქართ. | მოპოვებული მედლები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ო. | ვ. | ბ. | სულ |
| II (1993) | ვალკენსვაარდი (ჰოლანდია) | 51 | | 1 | 1 | 2 |
| III (1995) | ბათი (ინგლისი) | 15 | 1 | 1 | 3 | 5 |
| IV (1997) | ლისაბონი (პორტუგალია | 36 | 1 | 1 | 1 | 3 |
| V (1999) | ესბერგი (დანია) | 14 | 1 | 3 | 3 | 7 |

VI ოლიმპიურ დღეებში 11 სპორტსმენი-კანდიდატია შერჩეული სპორტის 4 სახეობაში. აქედან, 7 — ძიუდოში: ვაჟა კოტორაშვილი (55 კგ), მინდია ხომეზური (60), არჩილ შათირიშვილი (66), ჯარჯი ზვიადაური (73), გრიგოლ შინჯიკაშვილი (81), თედორე აბელაშვილი (90), ლაშა გუჯეჯიანი (+90). მწვრთნელები: ოთარ ნათელაშვილი, გურამ მოდებაძე; 2 მონაწილე ჩოგბურთელია: ნანა უროტაძე და ლადო ჩიხლაძე, მწვრთნელი ლალი ზერეკიძე, ერთი მძლეოსანი — მარიამ ქევხიშვილი, მწვრთნელი ყარამან საბანაძე და ერთიც მოცურავე — ანა სალნიკოვა, მწვრთნელი ირა მინქულინა.

დავძენთ, რომ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები მომავალ ოლიმპიელთა შესაძლებლობების დათვალიერების ფესტივალია და ნიჭიერ ათლეტთათვის გარდამავალი ეტაპია დიდ სპორტში. ადრე ამ ასპარეზობაში მონაწილეობამ ქართულ სპორტს კარგი სამსახური გაუწია, წლეულს?

## „ქობულეთი-2001"

**საჭადრაკო ფესტივალი „ქობულეთი-2001" (XIII). 5-12 ივლისი, საჭადრაკო ფესტივალი „მართვე-2001" (X), 15-22 ივლისი საჭადრაკო ფესტივალი „მართვე-2001" (XI), 24-31 ივლისი**

**შეჯიბრებას ატარებს ქობულეთის ჭადრაკის ფედერაცია და ზურაბ აზმაიფარაშვილის სახელობის ქობულეთის რაიონის ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სკოლა და ქ. თბილისის ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სკოლა „მართვე".**

1. საჭადრაკო ფესტივალი „ქობულეთი"-2001" (XIII), 5-12 ივლისი.
2. საქართველოს პირველობა ჭადრაკში 10-14 წლის გოგონებსა და ჭაბუკებს შორის საქ. განათლების სამინისტროს ეგიდით, 13-22 ივლისი.
3. საჭადრაკო ფესტივალი „მართვე — 2001" (X), 15-22 ივლისი.
4. საქართველოს პირველობა ჭადრაკში 12-16 წლის გოგონებსა და ჭაბუკებს შორის საქ. განათლების სამინისტროს ეგიდით, 22-31 ივლისი.
5. საჭადრაკო ფესტივალი „მართვე — 2001" (XI), 24-31 ივლისი.
6. საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „მართვე-2001" (XII), 1-8 აგვისტო.
7. საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ივერია-2001" (VI), 9-16 აგვისტო.
8. საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „საქართველო-2001" (VI), 17-24 აგვისტო.
9. საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ქობულეთი-2001" (XIV), 25 აგვისტო — 1 სექტემბერი.
10. საერთაშორისო მარათონული ბლიც-ტურნირი „ქობულეთი-55 (VI), 2 სექტემბერი.

**ფესტივალის და საქართველოს პირველობების ჩატარების მხარდამჭერები არიან საქართველოს განათლების სამინისტრო, ქობულეთის რაიონის გამგეობა, აჭარის ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი, აჭარის კულტურის სამინისტრო და აჭარის ჭადრაკის ფედერაცია.**

## მესტენდურეებს ათი წლის შემდეგ გზა გაეხსნათ

საქართველოს სროლის სახეობათა და მშვილდოსნობის ფედერაციას მძიმე ტვირთად აწვა ბოლო ათი წლის მანძილზე ვარკეთილის სამხედრო მონადირეთა კავშირის სტენდის უმოქმედობა. სასროლეთი, სადაც აღიზარდა მრავალი თაობა, მათ შორის თამაზ იმნაიშვილი, ტარიელ ჟღენტი, თეიმურაზ მატოიანი, როგორც ცნობილია, მთლიანად გაიძარცვა და გაპარტახდა ცნობილი მოვლენების გამო. ანალოგიურ ვითარებაში აღმოჩნდა ზუგდიდის, ქუთაისის და ოზურგეთის სტენდები. მოიშალა სპორტსმენთა მომზადებისა და დაოსტატების მწყობრი სისტემა. შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს სასტენდო სროლა ჩვენში, საერთოდ, ჩაკვდა. მაგრამ გამოჩნდნენ ენთუზიასტები, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ თბილისის სტენდს მალე აღადგენდნენ. პირველი, ვინც სიტყვას საქმე მოაყოლა, იყო სამხედრო მონადირეთა კავშირის თავმჯდომარე ლეონიდ სიმონიანი. ქების ღირსნი არიან აგრეთვე მონადირეთა კავშირის სპორტის განყოფილების უფროსი გელა სიმონიანი და სასროლეთის კომპლექსის უფროსი შოთა თავაძე, რომლებმაც ორწლიანი დაძაბული მუშაობის შემდეგ სტენდი აამოქმედეს. 2-3 ივნისს სასროლეთის ტერიტორიაზე, მიუხედავად ძლიერი ქარისა, რამაც შედეგებზე ძალიან იმოქმედა, ბევრმა სპორტის მოყვარულმა მოიყარა თავი. სტენდის საზეიმო გახსნაზე მოვიდნენ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, სეოკ-ის, ფედერაციის პასუხისმგებელი მუშაკები. განახლებულ ბაზაზე პირველი ასპარეზობაც, საქართველოს ღია ჩემპიონატი, იმავე დღეს გაიმართა.

მრგვალ სტენდზე საქართველოს ჩემპიონი გახდა ვეტერანი ოსტატი თამაზ იმნაიშვილი. პრიზიორების გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი სროლა. (სამ მონაწილეს თანაბარი ქულები ჰქონდა). მეორე ადგილზე გავიდა გია შენგელია, მესამეზე — ლევან გოცირიძე. ადგილიდან სროლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. არჩილ საბადაშვილი, 2. მაია გუჯიევა, 3. შოთა თავაძე (აქაც მეორე და მესამე პრიზიორი დამატებითი სროლის შედეგად გამოვლინდა). დავძენთ, რომ ჩემპიონატში 17 თბილისელი და ორი ოზურგეთელი მესტენდურე ჩაება (მთავარი მსაჯი ჯუნა მოწონელიძე).

მაშ ასე, სტენდი აღდგა. ახლა დღის წესრიგში დადგა ჯგუფების დაკომპლექტება და მეცადინეობების ეფექტურად წარმართვა, რაშიაც აუცილებელია ფედერაციის თანადგომა და სპონსორთა მოძიება.

**რუბენ კაცობაშვილი,**
ეროვნული კატეგორიის მსაჯი,
შეჯიბრების მთავარი მდივანი.


მარცხნიდან: გივი შენგელია, თამაზ იმნაიშვილი, ლევან გოცირიძე – კვარცლბეკზე

შიტორიუ კარატედო | საქართველოს ჩემპიონატი

## 5 წლის ბიჭუნამ ყველა მოხიბლა

ეს ასპარეზობა გასულ კვირას გ. ეგნატაშვილის სახელობის საკალათბურთო დარბაზში ჩატარდა 80-მდე თბილისელი, ახალციხელი, ბორჯომელი და ბოლნისელი სპორტსმენების მონაწილეობით.

ტექნიკური ილეთების დემონსტრირებაში 17 წლამდელთა შორის საუკეთესო იყო ირაკლი გულისაშვილი, მეორე ადგილი ხვდა ზაზა კასოიანს, მესამე — გიგა ჯალიაშვილს. უფროსებში (17 წელს ზევით) ადგილები ასე განაწილდა: 1. დავით კოდუა, 2. ლაშა კოდუა, 3. გენადი ხანიანი.

გახსნის ცერემონიალზე წარმოდგენილი საჩვენებელი გამოსვლებიდან განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ყველაზე მცირეწლოვანმა მონაწილემ, 5 წლის გურამ ელკანიშვილმა, რომელიც საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. სპორტსმენებს მიესალმა საქართველოს შიტორიუ კარატედოს ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ ასათიანი.

შეჯიბრება კუმიტეთი დაიწყო. მსაჯობდნენ საერთაშორისო „ა" კატეგორიის მსაჯი ვახტანგ ჩიქოვანი, კლუბ „ოდიშის" პრეზიდენტი, საერთაშორისო კატეგორის მსაჯი ჯამბულ კოდუა, ინსტრუქტორები დავით კოდუა, ლევან ასათიანი, გენადი ხანიანი, კვირია ზვიადაური. ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებაში დიდი წვლილი შეიტანა ფედერაციის მთავარმა ადმინისტრატორმა ოთარ ჯოხაძემ.

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. 1994-92 წ.წ. მსუბუქი წონა:** 1. ზურაბ წილოსანი, 2. გურამ ბერძული, 3. ზაურ ნადიევი (სამივე — თბ); **მძიმე წონა:** 1. დევი კუცია (თბ), 2. ლაშა ჩხეტიანი (ბოლნ), 3. გიორგი პირტახია (თბ). **91-90 წ.წ. მსუბუქი წონა:** 1. დათო სამუშია, 2. კარო ავანიანი, 3. მიხეილ გალუსტაშვილი (სამივე — თბ); **მძიმე წონა:** 1. შოთა აფხაზიშვილი, 2. დემნა გვაგვალია, 3. მიხეილ ბჟალავა (სამივე — თბ). **1989-88 წ.წ. მსუბუქი წონა:** 1. ალეკო წიფლაშვილი (თბ), 2. ოთარ მუშკუდიანი (ბოლნისი), 3. ოთარ გოგოლაძე (ბორჯომი). **მძიმე წონა:** 1. ლევან გოთაძე, 2. გიორგი ზაზუნიშვილი, 3 ალეკო თვალაძე (სამივე — თბ). **1987-86 წ.წ. მსუბუქი წონა:** 1. ირაკლი ლაფაჩი, 2. გიგა ჯალიაშვილი, 3. გიგა კვიტატიანი (სამივე — თბ); **მძიმე წონა:** 1. ზაზა მიქელაძე, 2. გიორგი მიქელაძე, 3. ვანო ავანიანი (სამივე — თბ). **1985-84 წ.წ. მსუბუქი წონა:** 1. ირაკლი გულისაშვილი, 2. ზაზა კასოიანი, 3. სლავა სარქისიანი (სამივე — თბ); **მძიმე წონა:** 1. ლევან ძოწენიძე, 2. ოთარ ასლანიშვილი (ორივე — თბ), 3. ლევან ავქოფაშვილი (ბოლნ). **1983 წ. და ზევით:** 1. გენა ხანიანი, 2. გიორგი ჯოხაძე, 3. გუჯა გუგუჩია (სამივე — თბ).



კარგი ტექნიკისათვის თასებით დააჯილდოვეს დევი კუცია და გენადი ხანიანი. თორნიკე ძამაშვილს, ბორჯომელ ირაკლი ტაბატაძესა (მწვრთნელი ზვიად გასიშვილი), და ახალციხელ გელა კახიშვილს (მწვრთნელი მამუკა ზუმბაძე) პრიზები და დიპლომები გადაეცათ საბრძოლო ქინის გამოვლინებისათვის.


გამარჯვებულები და პრიზიორები

## საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი მასობრივი მძლეოსნური გარბენის ტრასის სქემა

GEORGIA

Coca-Cola

ქ. თბილისი
2001 წლის 23 ივნისი
სტარტი 11.00 საათზე






*ტრასის სიგრძე – 10 548 მეტრი*

## მონაწილეთა საყურადღებოდ!

**გარბენი ტარდება 2 და 4 კმ, ასევე „მეოთხედი მარათონის" — 10548 მ დისტანციებზე.**

**გარბენში დაიშვებიან მონაწილენი ორგანიზაციებისა და უწყებების განცხადების საფუძველზე შემდეგი თანმიმდევრობით:**

- **2 კილომეტრი — 60 წლის და ზევით კაცები და ქალები**
- **4 კილომეტრი — 12 წლისა და ზევით კაცები და ქალები**
- **„მეოთხედი მარათონი" — სიის მიხედვით.**

**განაცხადები მიიღება საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში 15-20 ივნისს დღის 11 საათიდან (დ. აღმაშენებლის გამზ. 65, ტელ: 95 36 87).**

# საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები



## მზია ჯუღელიდან — უსასრულობისაკენ

1938 წელს, მზია ჯუღელის ოჯახს თავს დატეხილი ტრაგედიის განცდებიდან მკითხველის ემოციების განსატვირთად, ახლა ათი წლით წინ გადავინაცვლოთ. 1948 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ სერიოზულად დაიწყო ფიქრი მსოფლიო ოლიმპიურ ოჯახში გაწევრიანებაზე. მეორე მსოფლიო ომში ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ, ბევრი რამ გადაფასდა პოლიტიკაშიც. საბჭოთა კავშირს უკვე მთელი მსოფლიო აღიარებდა, როგორც მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთიან სახელმწიფოს და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიც მზად იყო მიელო თავის რიგებში. 1948 წლიდან აქტიურად დაიწყო საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში საბჭოთა ფედერაციების გაწევრიანება, მაგრამ იმ წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ნაადრევად ჩაითვალა. ქვეყანა, რომელმაც ომში გაიმარჯვა, სპორტულ სარბიელზეც ღირსეულად უნდა წარმოჩენილიყო.

დიპლომატიური არხები სრული დატვირთვით ამუშავდა, მჭიდრო ურთიერთობა მყარდება სოკ-თან. უკვე 1950 წელს, საბჭოთა კავშირმა, 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ოფიციალური მიწვევა მიიღო. 1951 წლის 23 აპრილს საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა, რომელიც, სულ მალე, 7 მაისს აღიარა სოკ-მა.

როგორც ითქვა, საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობა ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში 1948 წლიდან ინტენსიური ხდება. 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე დარჩენილი ოთხწლეული საკმარისი უნდა ყოფილიყო საბჭოთა ნაკრების მოსამზადებლად, მით უფრო, „რკინის დისციპლინის" პირობებში.

საბჭოთა ნაკრებში იმ ხანებში ადგილი ბევრმა ქართველმა ათლეტმა დაიმკვიდრა. მზია ჯუღელმა რუსეთის ცნობილ ტანმოვარჯიშეთა კოჰორტაში თამამად შეაბიჯა. ქართველი სპორტსმენი უკვე საკმაოდ გამობრძმედილი იყო და ახლა ყველა შეკრებაზე, ყველა შეჯიბრებაზე იწვევდნენ.

1951 წელს და 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე, მზია ყველა ასპარეზობაში სტაბილურად გამოდიოდა. განსაკუთრებით განსაცვიფრებელ შედეგს ბჯენით ხტომებში აღწევდა, თანაც შეფასების მაქსიმუმს, 10-10 ქულას იმსახურებდა, დანარჩენ პროგრამაში მეტწილად იკავებდა საპრიზო ადგილს, მრავალჭიდში კი ასევე სტაბილურად მეოთხე იყო.

ბერლინი. 1951 წელი. მსოფლიო ახალგაზრდების ფესტივალი. ამ უდიდესი ღონისძიებების ჩარჩოში სპორტი ფართოდ იყო წარმოდგენილი. მზია ბჯენით ხტომებში აქაც უძლიერესი იყო. რგოლებზე ვარჯიშში კი თანაგუნდელებსაც აჯობა და კვლავ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგა. წარმატება მრავალჭიდშიც მოვიდა, მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო. ეს უკვე მზია ჯუღელის საერთაშორისო აღიარებას ნიშნავდა.

მაშინ, ბერლინში, პირველად გაიჟღერა სპორტული ასპარეზობის თანმხლებმა ქართულმა მელოდიამ. მზიამ თავისუფალი ვარჯიში შეასრულა ლილი იაშვილის მიერ საგანგებოდ შექმნილი ჰანგებით. კომპოზიტორი მზიას მწვრთნელის გრიგოლ მამარდაშვილის მეუღლე გახლდათ.

„1952 წელს, მოსკოვში, პირველ საბჭოთა ოლიმპიელებთან ერთად ვიყავი შეკრებაზე. წინ საბჭოთა კავშირის პირველობა გველოდა. ამ შეჯიბრებაზე კიდევ ერთხელ უნდა შემოწმებულიყო ნაკრების კანდიდატების შესაძლებლობები. მე და გალინა ურბანოვიჩი ერთ ოთახში ვცხოვრობდით, როგორც დინამოელები. გალინა საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა ნაკრების ლიდერად ითვლებოდა, იმ დროს ის უკვე ქვეყნის შვიდგზის აბსოლუტური ჩემპიონი იყო. გალინა უმკაცრეს რეჟიმს იცავდა, გადავწყვიტე მისთვის მიმებაძა, უპირველესად, კვებაში. ერთად მივდიოდით სასადილოში. იმდენს ვჭამდი და ვსვამდი, რამდენსაც ურბანოვიჩი. სამწუხაროდ, ბრმა მიმბაძველობამ, ლამის წყალში გადამიყარა ყველაფერი".

იმ ხანებში შეჯიბრებები ტარდებოდა პარალელურ ორძელზე. რაციონის მიბაძვით შეზღუდვა, სულაც რომ არ იყო აუცილებელი, მზია მაშინ მიხვდა, როცა პარალელურ ორძელზე ასპარეზობდა. ყველაზე რთული ილეთის – წინქნევაზე აბჯენი, ხელყირა, შესრულებისას მზიამ იგრძნო, რომ ძალიან მსუბუქად აკეთებდა ყველაფერს, ველარ მოზომა და იარაღიდან მოწყდა. შეფასება – 0. თითოეულ ტანმოვარჯიშეს ორი ცდის უფლება ჰქონდა, ოღონდ, თუ მეორედ პირველზე დაბალ შედეგს აჩვენებდი, უარესი გეთვლებოდა. მზიას დასაკარგი არაფერი ჰქონდა.

„ძალიან მიყვარდა წყალი. შევვარდი გასახდელში, რაც შემეძლო ბევრი სითხე მივილე, ვიგრძენი, რომ დავმძიმდი. გამიმართლა, ჩინებულად გამომივიდა მეორე ცდა. მაშინ ასეთი წესი იყო: სამ დათვლაში უნდა „გაგეყინა" ყირა. თანაც ითვლიდნენ არა 1, 2, 3, არამედ 21, 22, 23 – დროის გასახანგრძლივებლად. 9,8 ქულა დავიმსახურე და მესამე პრიზიორი გავხდი, პირველსა და მეორე ადგილებზე გასულებს მინიმალური სხვაობით ჩამოვრჩი. ბჯენით ხტომაში კვლავ პირველი, ორძელზე – მესამე, დვირზე – V, თავისუფალ ვარჯიშში – IV, მრავალჭიდში – ისევ მეოთხე...

**თენგიზ ბაჩეჩილაძე**

*დასაწყისი იხ. „ლელო" №40-41, 43-44*

*გაგრძელება იქნება*

# გაიმართა ფინალური სერიის მე-3 შეხვედრა

**„ფილადელფია" — „ლეიკერსი" 91:96**

აივერსონი (35 + 12 მოხსნა + 4 გადაცემა), მუტომბო (23 + 12 მოხსნა), სნოუ (14) — ბრაიანტი (32), ო'ნილი (30 + 12 მოხსნა), ორი (15).

მატჩი მიმდინარეობდა „ლეიკერსის" უპირატესობით. მაგრამ, მაშინ, როცა შეხვედრის დამთავრებამდე დარჩენილი იყო 2 წუთი და 21 წამი ანგარიში კი იყო 86-84, „ლეიკერსის" სასარგებლოდ, მეექვსე პერსონალური მიიღო შაკილ ონილმა და „ლეიკერსი" ცენტრის გარეშე დარჩა. შეხვედრის დამთავრებამდე 27 წამით ადრე, როცა „ლეიკერსი" იგებდა ერთ ქულას, მისმა ყველაზე მაღალმა კალათბურთელმა (სხვებმა 6-6 პერსონალური ჯარიმით დატოვეს მოედანი), ორიმ სამქულიანი ტყორცნით გადაწყვიტა მატჩის ბედი. ბოლო წამებზე ალან აივერსონის სამი სამქულიანი ასცდა მიზანს.

ამრიგად, სერიაში დაწინაურდა „ლეიკერსი" 2-1. მომდევნო შეხვედრა გაიმართება ხვალ — ისევ ფილადელფიაში.






## სტენლის თასი – „კოლორადოს"

დასრულდა სტენლის თასის წლევანდელი გათამაშება. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ: თასის შარშანდელი მფლობელი „ნიუ ჯერსი" და „კალორადო". დაძაბულ შეხვედრაში, სადაც გამარჯვებულის გამოსავლენად საჭირო გახდა შვიდივე შეხვედრის ჩატარება, გაიმარჯვა „კოლორადო ეველანშმა" საერთო ანგარიშით 4-3. ყველაზე ძვირფას მოთამაშედ დასახელდა „კოლორადოს" მეკარე პატრიკ რუა.

## „ჯირო დ'იტალია" დასრულდა

მილანში დასრულდა 84-ე მრავალდღიანი ველორბოლისა გათამაშება — „ჯირო და იტალია" ბოლო ეტაპი მოიგო იტალიელმა მარიო ჩიპოლინიმ, რომლისთვისაც ეს იყო მეოთხე წარმატება ამ რბოლაში.

საერთო ჩათვლაში იმარჯვა იტალიელმა ***ჯილბერტო სიმონიმ***, რომლის დროა 89:02,58.

შემდეგ მოდიან: 2. აბრაამი ოლანო (ესპანეთი) — ჩამორჩენა 7,31; 3. ოსა ეისაგირე (ესპანეთი) — ჩამორჩენა 8,37; 4. სერგეი გონჩარი (უკრაინა) — ჩამორჩენა 9,25; 5. ხოსე აზევედუ (პორტუგალია) — ჩამორჩენა 9,44.

*სურათზე: ჯილბერტო სიმონი*



## ალის ქალიშვილმა სძლია ფრეზერისას კრივი

XX საუკუნის მეორე ნახევრის ორ ლეგენდარულ მოკრივეს მოჰამედ ალისა და ჯო ფრეზერს, რომელთა გამოსვლები, ამშვენებდა ოლიმპიური თამაშების, ასევე პროფესიული კრივის რინგს, არ ჰყავთ ვაჟები, რომლებიც გააგრძელებდნენ მათ დაპირისპირებას. აი ქალიშვილები კი მამების ღირსეული მემკვიდრეები არიან და კრივის მოყვარულები მოუთმენლად ელოდნენ 23 წლის ლეილა ალის გამოსვლას 39 წლის ჯეკი ფრეზერ-ლაიდის წინააღმდეგ. ეს შეხვედრა ნიუ-იორკის შტატ ვერონეს რინგზე შედგა და ორთაბრძოლა, რომელსაც წინასწარ აშკარად არ აკლდა ინტრიგა, მართლაც მიმზიდველი და საინტერესო გამოდგა. პირველ რაუნდში ჯეკი ფრეზერი შეეცადა უცებ მოემთავრებინა ბრძოლა ნოკაუტით — არ გამოუვიდა. ალის ქალიშვილმა ხელთ იგდო უპირატესობა და მომდევნო ოთხი რაუნდი მისი „კარნახით" წარიმართა. ერთხელ შეძლო კიდეც მეტოქე ძირს დაეცა, მაგრამ... შემდეგ ინიციატივა კვლავ ფრეზერის მხარეზე აღმოჩნდა. მე-8 რაუნდში შეეცადა გაეკეთებინა ის, რაც პირველში ვერ შეძლო და კვლავ ამაოდ, რაუნდი კი მოიგო, მაგრამ მეტოქე მყარად იდგა ფეხზე.





ორმა მსაჯმა გამარჯვება ლეილა ალის მიაკუთვნა — 79:77 და 77:75, მესამემ კი ფრე აღნიშნა — 76:76. სინამდვილეს უფრო ბოლო ორი შეფასება ასახავს.

საერთოდ, ქალიშვილებს მამებს თუ შევადარებთ, მათი დონე, რა თქმა უნდა, ის არ არის, ძალთა განაწილებით თუ შეედრებიან წინაპრებს. როგორც ყოველთვის ხდება თანაბარი ბრძოლის შემდეგ, ახლაც არ დაუყოვნებია ლაპარაკს მატჩ-რევანშის შესახებ და ალბათ ასეთი ორთაბრძოლა შორს არ უნდა იყოს...

## მერვე ეტაპს მონრეალმა უმასპინძლა «ფორმულა-1»

მონრეალში ჟიულ ვილრევის სახელობის ავტოტრეკზე მსოფლიო პირველობის მერვე ეტაპი გაიმართა, მონაწილეებს 4421 მეტრიან ტრასაზე 69 წრე უნდა გაევლოთ. შარშანდელი ეტაპის გამარჯვებულია მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ შუმახერი (ფერარი), რომელმაც მანძილი 1:41. 12,313 წამში განვლო და საათში 180,850 კილომეტრი სისწრაფე განავითარა. მანვე კვალიფიკაციაში (პოულ-პოზიშნი) საუკეთესო შედეგი აჩვენა — 1:18,439 კმ საათი. ტრასის წრე კი ყველაზე სწრაფად მიკა ჰაკინენმა (მაკლარენი) განვლო — 201, 398 კმ/საათი...

რაც შეეხება „კანადის გრან-პრის" წლევანდელ ასპარეზობას კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური კვლავ შუმახერების გვარს ერგო, ოღონდ ამჯერად მასზე მიხაელი კი არა, უმცროსი რალფი („უილიამსი") აღზევდა, რომელმაც ტრასაზე გაუსწრო უფროს ძმას, თუმცა ეს წლევანდელ რბოლაში მისი მეორე გამარჯვება იყო, ასე სწრაფად ეტაპი მას არ გაუვლია — 1:31. 34, 522 წამია გამარჯვებულის დრო, რომელსაც 0.20, 235 წამით ჩამორჩა მიხაელ შუმახერი („ფერარი"), მესამე პრიზიორი მიკა ჰაკინენი კი(ფინეთი, „მაკლარენი") — 0.40, 672-ით.

უფროსი შუმახერი, რაც შეეძლო, აშკარად „ღდინს ადენდა" მანქანას. „მაკლარენები" კი პირიქით, ცდილობდნენ არ გამორჩეულიყვნენ საერთო ჯგუფიდან, „მშვიდად" მიდიოდნენ.

დაახლოებით ათმა წრემ ასე ჩაიარა, შემდეგ კი რალფმა დრო იხელთა და გადაწყვიტა გაესწრო ძმისთვის, რის შემდეგაც მიხაელმა უმატა სისწრაფეს.

რალფმა გამოწვევა მიიღო და მომდევნო თხუთმეტი წრე ასეთი ორთაბრძოლით აღინიშნა. მაშინ რალფმა შეცვალა ტაქტიკა — მოუცადა, როცა მიხაელი ბოქსში შევიდოდა. ასეც მოხდა და თავისუფალ ტრასაზე აბსოლუტური საუკეთესო დრო აჩვენა, რაც მას ბოლომდე ეყო გამარჯვებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც მიაშურა ბოქსს. როგორც ნახეთ, ძმებს ოთხ წამზე ცოტა მეტი აშორებდა ერთმანეთს, ოღონდ ეგ იყო, რომ პირველობა უმცროსს დარჩა.

ამ სეზონში პირველად ვერ მიაღწია ფინიშამდე შარშანდელმა მესამე პრიზიორმა დევიდ კულტჰარდმა („მაკლარენი").

საერთო ჩათვლა ასე გამოიყურება: მ. შუმახერი — 58 ქულა, 2. დევიდ კულტჰარდი (დიდი ბრიტანეთი) — 40, 3. რუბენს ბრიკოლა (ბრაზილია, „ფერარი") — 24, 4. რ. შუმახერი — 22, 5-6. ნიკ ხაიდფელდი (გერმანია, „ზაუბერი") და მ. ჰაკინენი — 8-8.

კონსტრუქტორთა თასი: 1. „ფერარი" — 82 ქულა, 2. „მაკლარენი" — 48, 3. „უილიამსი" — 28, 4. „ზაუბერი" — 15, 5. „ჯორდანი" — 13, 6. ბრი — 12.

პრესკონფერენცია




ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები

# ყველამ თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა იკისროს

**ასეთი კატეგორიული და თვითკრიტიკული იშვიათად თუ ყოფილა მერაბ ჟორდანია. მიზეზი ყველასათვის, ცნობილია, ეროვნული ნაკრების სრული ფიასკო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. ეროვნული გუნდის მომავალი, მწვრთნელთა ცვლილების საკითხი, ყველაფერმა ამან მასმედიის წარმომადგენელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია და გუშინ სფფ-ს პრეზიდენტის პრესკონფერენცია ჩვეულებრივზე ხალხმრავალი იყო.**

„თქვენთან შეხვედრა ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე. გადადგომაც კი დავაპირე, მაგრამ ვიცე-პრეზიდენტთან და გენერალურ მდივანთან გასაუბრების შემდეგ, ამ ნაბიჯის გადადგმა ნაადრევად მივიჩნიე. მე მყავს ჩემი გუნდი, სფფ-ს მთელი კოლექტივი, რომელთა აზრის გაუთვალისწინებლობა ჩემი მხრიდან არაკორექტული იქნებოდა. რა მოვაკელით ნაკრებს მომზადების თვალსაზრისით? — სფფ-ს ორგანიზაციულ საკითხებში ხარვეზი ვერ ვუპოვე. ვერავის მუშაობას ვერ დავიწუნებ. შევხვდი დავით ყიფიანს, მან თავად გამოთქვა აზრი გადადგომის თაობაზე, საერთოდ, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, უმჯობესია, ნაკრების ორივე მწვრთნელი გადადგეს. ციკლის ჩავარდნის თაობაზე ჩვენს აზრს აღმასკომზე დავაფიქსირებთ".

მწვავე შეკითხვებს მერაბ ჟორდანია ჩვეული კორექტულობით და სიდინჯით პასუხობდა. დედაზრი კი იმაში მდგომარეობდა, რომ, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს შორის წარმოშობილი კონფლიქტების განეიტრალება, რისი აქტიური მცდელობა სფფ-ს მხრიდან ნამდვილად იყო. „მწვრთნელთა მუშაობაში არასოდეს ჩავრეულვარ. ეს ჩემი პრინციპია, ჩვენ მხოლოდ საკუთარ აზრს გამოვთქვამდით და მას მწვრთნელებს თავზე არასოდეს ვახვევდით. კონკრეტულ მატჩში, კონკრეტულ მეტოქესთან შემადგენლობის დაყენება მწვრთნელთა პრეროგატივაა. ყიფიანი და ძოძუაშვილი დარჩებიან თუ წავლენ, სფფ მათთან დადებული კონტრაქტის ყველა პუნქტს შეასრულებს".

მერაბ ჟორდანიას თქმით, დღეს ქართულ ფეხბურთში მაღალკვალიფიციური მწვრთნელების არყოლა ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. იგი ფეხბურთელებსაც შეეხო და პირდაპირ განაცხადა:

„ნაკრებმა თავისი ფუნქცია თუ ვერ შეასრულა, ფეხბურთელებსაც მიუძღვით ბრალი. საქმე იმაშია, შენს ნიჭს ბოლომდე იყენებ თუ არა და ისეთ მაღალ დონეზე ავლენ თუ არა, როგორიცაა ეროვნულ ნაკრებში თამაში. ეს კი ჩვენმა ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს. ჟურნალისტები და სფფ-ს პრეზიდენტი მრავალ პრობლემას შეეხნენ. ეს იყო კახა კალაძის ძმის ირგვლივ არსებული მდგომარეობა, ქართული ფეხბურთისა და მთავრობის მაღალ ჩინოსანთა დამოკიდებულება, ყადალის საკითხი. თემები ამოუწურავია. დღეს ერთია ნათელი, ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა — დავით ყიფიანმა გადადგომის თაობაზე განაცხადა. საბოლოო სიტყვა აღმასკომზეა. არ არის გამორიცხული, რომ ნაკრების მწვრთნელობა თავად მერაბ ჟორდანიამ შეითავსოს.

**საბა ლომინაძე**

## ადმინისტრაციულ კურსებზე

**21-22 ივნისს თბილისს ეწვევა და ადმინისტრაციულ კურსებს ჩაატარებს უეფას განვითარებისა და დახმარების კომიტეტის თავმჯდომარე ჰენრი რომერი. უეფას პროგრეს-კურსები სხვადასხვა საკითხზე საქართველოში არაერთხელ ჩატარებულა, რაც ფეხბურთის ადმინისტრირების საქმეში ცოდნა-გამოცდილების მიღების ჩინებული საშუალებაა და სფფ-ს უეფასთან მჭიდრო თანამშრომლობის დასტურია. რომერის ადმინისტრაციული კურსებს ერთ-ერთი მთავარი თემაა საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების საკითხი. კურსებს სასტუმრო „თორი" უმასპინძლებს. ორდღიან ლექციებს მოისმენენ სფფ-ს ხელმძღვანელი მუშაკები და საფეხბურთო კლუბების პრეზიდენტები.**

## პირველი ლიგა აგვისტოში დაიწყება

სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტში XIII ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის კალენდარი შეადგინეს. ტურნირი სავარაუდოდ 14 აგვისტოს დაიწყება. პირველი ეტაპის პირველ ტურში ერთმანეთს შეხვდებიან:

ცხინვალი (ცხინვალი) — თორი (ბორჯომი)
დილა (გორი) — ლაზიკა (ზუგდიდი)
ამირანი (ოჩამჩირე) — თსუ (თბილისი)
ოკეანე (სამტრედია) — ლოკომოტივი-3 (თბილისი)
კოლხეთი (ხობი) — მილანი (წნორი)
იბერია (სამტრედია) — შუქურა (ქობულეთი)

## მოყვარულთა ფეხბურთი

სამეგრელოს რეგიონის ფეხბურთის ფედერაცია სამაგალითო აქტიურობით გამოირჩევა და ამის შედეგია, რომ საფეხბურთო ცხოვრების რიტმი არ წყდება. ამ დღეებში აქ დასრულდა 2000-2001 წლების მესამე ჩემპიონატი და თასის გათამაშება. ჩემპიონატი ორ წრედ ჩატარდა. პირველი ადგილი და საქართველოს 2001-2002 წლების XIII ეროვნული ჩემპიონატის რეგიონალურ ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა ფოთის ნავსადგურის „ანკორმა" (მწვრთნელები ზურაბ დანელია, დემურ ტყებუჩავა, ფეხბურთის საქალაქო ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ბარამია, ნავსადგურის უფროსი ჯემალ ინაიშვილი, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე მალხაზ ჩილაჩავა). „ანკორის" გუნდს გადაეცა რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის თასი, მწვრთნელები და მოთამაშეები დაჯილდოვდნენ რეგინოის ფეხბურთის ფედერაციის პირველი ხარისხის დიპლომებით. ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა ზუგდიდის რაიონის ცაიშის „მერცხალმა" (მწვრთნელები მარდონ თოდუა, მურმან თოდუა) მესამე იყო ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის „იმედი" (მწვრთნელები გულად სიჭინავა, ლერი ხოფერია). „მერცხალი" და „იმედი", მწვრთნელები და მოთამაშეები დაჯილდოვდნენ რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის მეორე და მესამე ხარისხის დიპლომებით.

რეგიონის თასის გათამაშების ფინალში, რომელიც ჩატარდა ხობის „კოლხეთის" სტადიონზე, ერთმანეთს შეხვდნენ რეგიონის ჩემპიონი „ანკორი" და ვიცე-ჩემპიონი „მერცხალი". დაძაბულ ბრძოლაში 3-2 გაიმარჯვა „მერცხალმა". რაც შეეხება სუპერ თასის გათამაშებას, რომელიც გაიმართა სენაკის „ეგრისის" სტადიონზე, „ანკორმა" „მერცხალი" დაამარცხა 5-2.

გამარჯვებულებისა და პრიზიორების გარდა, დაჯილდოვდნენ თასის ფინალურ და სუპერთასის თამაშებზე მომსახურე მსაჯები.

მართალია, აბაშის, მარტვილის, სენაკის, წალენჯიხის რაიონების ფეხბურთის ფედერაციები ატარებენ რაიონულ გათამაშებებს, მაგრამ უკვე მერამდენედ, თავს არიდებენ რეგიონის ჩემპიონატში მონაწილეობას.

**ჯემალ გოგია,**

**სურათზე: ფოთის „ანკორი"**



## I ეტაპის ასპარეზობები დასრულდა

**ბავშვთა ფეხბურთი**

**შესანიშნავი ქართველი ფეხბურთელების მიხეილ მესხის, გივი ჩოხელისა და სლავა მეტრეველის სახელობის თასების გათამაშება მრავალი წელია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ტარდება.**

ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. ტურნირები წლეულსაც იმართება. შეჯიბრებების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **ჯუმბერ თანანაშვილმა.**

სამივე ტურნირი 2000 წლის სექტემბერში დაიწყო. პირველ ეტაპზე ასპარეზობები დასრულდა წლეულს, მაისში.

### გივი ჩოხელის სახელობის თასი (1985 წელს დაბადებულები)

გათამაშების პირველ ეტაპზე მონაწილეობდა 41 გუნდი სამ ქვეჯგუფში, სამ ზონად. აღმოსავლეთის ზონა (13), ცენტრალური (14), დასავლეთის (14). ასპარეზობა ორ წრედ მიმდინარეობდა. აღმოსავლეთის ზონიდან მეორე ეტაპზე ასპარეზობას გააგრძელებენ: „ირაო" — „ყაზბეგი" (თბილისი), „სიონი" (ბოლნისი), „შევარდენი"-1 (თბილისი), „ნორჩი დინამოელი"-2 და „ნორჩი დინამოელი"-86. ცენტრალური ზონიდან ითამაშებენ: „ნორჩი დინამოელი"-1, „მთვარის გლობუსი", „თბილისი", თ. სულაქველაძის აკადემია, ს.კ. „სიხარული"; დასავლეთის ზონიდან — „დინამო" (ბათუმი), „დინამო" (ქუთაისი) ქობულეთის საფ. სკოლა, „განათლება" (ქუთაისი) „ლოკომოტივი" (სამტრედია), „ტორპედო" (ქუთაისი) მეორე ეტაპზე მატჩები ჩატარდება ოლიმპიური სისტემით. ტურნირის ფინალი ტრადიციულად გივი ჩოხელის მშობლიურ ქალაქ თელავში, მისი დაბადების დღეს 27 ივნისს გაიმართება.

### მიხეილ მესხის სახელობის თასი (1986)

გათამაშების პირველი ეტაპი რეგიონებში ჩატარდა 80-მდე გუნდის მონაწილეობით. ტურნირის ჩატარების სისტემა იგივეა, რაც ჩოხელისა და მეტრეველის თასზე. მეორე ეტაპზე თამაში განაგრძო 16 გუნდმა ოლიმპიური სისტემით. გაგაცნობთ რეგიონებში გამარჯვებულებს:

**თბილისი:** ავაზა, თ. სულაქველიძის აკადემია, მერანი, ოლიმპიკი;
**ქვემო ქართლი:** მამული (რუსთავი), მერცხალი (რუსთავი);
**კახეთი:** ჰერეთი (ლაგოდეხი), თელავის საფ. სკოლა;
**იმერეთი:** მემორიალი (ქუთაისი), კოლხიდა (ქუთაისი);
**სამეგრელო:** კოლხეთი (ფოთი), ლაზიკა (ზუგდიდი);
**შიდა ქართლი:** ორბი (გორი), ბორჯომი;
**აჭარა-გურია:** განათლება (ბათუმი), გურია (ლანჩხუთი).
*ტურნირის ფინალი 25 ივნისს ჩატარდება.*

### სლავა მეტრეველის სახელობის თასი (1987)

პირველ ეტაპზე ამ ტურნირშიც 80-მდე გუნდი მონაწილეობდა.
აი ისინი, ვინც რეგიონებში გაიმარჯვა და მეორე ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

**თბილისი:** ავაზა, დიდუბე, თ. სულაქველიძის აკადემია, ქინვალი;
**კახეთი:** თელავის საფ. სკოლა, გურჯაანი;
**ქვემო ქართლი:** მერცხალი (რუსთავი), სხივი (რუსთავი);
**შიდა ქართლი:** ხაშური, ორბი (გორი);
**იმერეთი:** კოლხიდა (ქუთაისი); დინამო (ქუთაისი);
**სამეგრელო:** ლესიჭინე (ჩხოროწყუ), კოლხეთი 2 (ფოთი);
**აჭარა-გურია:** დინამო (ბათუმი), ლანჩხუთი;
*ფინალური მატჩი 24 ივნისს გაიმართება*

### ბათუმიდან გვატყობინებენ:

**მიხეილ მესხის თასზე.** ეს გათამაშება ტარდება 1986 წელს დაბადებულთათვის. აჭარა-გურიის ზონაში მონაწილე 9 გუნდიდან ჩინებული სტარტი აიღეს ბათუმის განათლების განყოფილების წარმომადგენლებმა. მათ ორი წრის ჯამში 40 ქულა მოაგროვეს და პირველი ადგილი დაიკავეს, ასევე წარმ ტებით განვლეს ჩემპიონა-

იხ. მე-5 გვ.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობათა, ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის კომიტეტის თავმჯდომარეს დავით პეტრიაშვილს ბებიის ნინა დათაშვილის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ცნობილ სპორტულ ფოტომემატიანეს კონსტანტინე შანიძეს მეუღლის ნინა დათაშვილის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს ცნობილ ვეტერან ფეხბურთელს გურამ პეტრიაშვილს სიდედრის ნინა დათაშვილის გარდაცვალების გამო.**

# ბავშვთა ფეხბურთი

*(მე-4 გვერდიდან)*

ტი ლანჩხუთის „გურიას“ ყმაწვილებმა და 39 ქულით მეორე ადგილი ხვდათ. ეს ორი გუნდი ფინალურ ეტაპზე გააგრძელებს ასპარეზობას.

გამარჯვებული გუნდის მწვრთნელმა რეზო დარახველიძემ გვითხრა, რომ ბოლო ტურამდე გაურკვეველი იყო თუ ვინ გავიდოდა შემდეგ ეტაპზე. ოთხ-ხუთ გუნდს შეეძლო მიზნის მიღწევა. ჩემმა შეგირდებმა 13 მატჩი მოიგეს, 2 წააგეს და ერთიც ფრედ დაასრულეს, ბურთების შეფარდება 53-15. ჩვენებიდან გამოვყოფდი მეკარე ლევან ბექთაშოვს, მცველებს რუსლან ქვირიას და გიგა ჯანელიძეს, ნახევარმცველებს ირაკლი ქობალიას და დათო ჯიქიძეს, თავდამსხმელებს ავთო ხარაზს. ამ უკანასკნელმა 13 გოლი გაიტანა.

**სლავა მეტრეველის თასზე.** დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოს 2000-2001 წლების ჩემპიონატმა ფეხბურთში (1987-1988 წლებში დაბადებულთათვის) სლავა მეტრეველის სახელობის თასზე. აჭარა-გურიის ზონაში 12 გუნდი იბრძოდა წარმატებისთვის. ზონაში გამარჯვებული გამოვიდა ბათუმის „დინამოს“ პირველი გუნდი, რომელმაც 19 მატჩი მოიგო და მხოლოდ 3 წააგო. ბურთების შეფარდება — 67-12. გამარჯვებულს 2 ქულით ჩამორჩა ლანჩხუთის „გურია-21-ე საუკუნე“ (55 ქულა). პირველ ადგილზე გასული გუნდის მწვრთნელმა (სამწუხაროდ, კორესპონდენტს მისი გვარის მითითება გამორჩენია) თავისი შეგირდებიდან დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი: მეკარე — კარენ მინასიანი, მცველი — გიორგი დიასამიძე, ნახევარმცველი — კახა მახარაძე, თავდასხმის ხაზიდან — მიშიკო ჯორბენაძე, ლევან ადეიშვილი და თორნიკე ჭანტურიშვილი, რომელმაც 10 ბურთი გაიტანა.

ფინალური მატჩები ივლისის შუა რიცხვებში ჩატარდება. 16 გუნდი ნახევაროლიმპიური სისტემით გააგრძელებენ ბრძოლას საპატიო ჯილდოსათვის.

**ოთარ მურვანიძე,**
„ლელოს“ საკ. კორ. აჭარაში.

## „სიხარული“ მეოთხედფინალში



ჩოხელის თასის გათამაშებაში 1985 წელს დაბადებულთა შორის ფინალურ ეტაპზე 16 გუნდი გავიდა. მერვედფინალში ბათუმის „დინამომ“ 2-0 მოიგო პირველი მატჩი „სიხარულთან“ შეხვედრაში. განმეორებით მატჩში კი „სიხარულმა“, იმარჯვა „სინათლის“ სტადიონზე 4-1 და გავიდა მეოთხედფინალში (კლუბის პრეზიდენტი დემურ ჰაფოძე).



166-Ე სკოლის გუნდი



39-Ე სკოლის გუნდი

## ფიქრები ქართულ ფეხბურთზე

# წარსულიდან აწმყოში, აწმყოდან წარსულში?

### ეს ინტერვიუ აღებულია 30 წლის წინათ, რა შეიცვალა მას შემდეგ?

ჩემს წინაა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის 1947 წლის შემადგენლობის ფოტო. მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზეა გადაღებული, მოსკოველ თანაკლუბელებთან მატჩის წინ. მიუხედავად იმისა, რომ იმ სეზონში თბილისის „დინამო“ ბრინჯაოს მედლების მფლობელი გახდა — ზემოაღნიშნულ მეტოქესთან მათ აშკარად სუსტად ითამაშეს და დამარცხდნენ როგორც შინ — 0-3, ისე სტუმრად — 0-4. 1947 წლის საფეხბურთო სეზონში უმაღლეს ლიგაში 13 კოლექტივი ასპარეზობდა. ჩემპიონის ტიტულს მოსკოვის ორი წამყვანი გუნდი „დინამო“ და ცსკა ეცილებოდა, რომელთაც საბოლოოდ 40-40 ქულა ჰქონდათ აქტივში. „დინამოს“ ბურთების შეფარდება — 57:15, ცსკას — 61:16. ასე რომ, არმიელმა ფეხბურთელებმა გაუსწრეს დინამოელებს და ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრეს. სწორედ ამ უნიკალურმა შემთხვევამ განაპირობა ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციას ცვლილება შეეტანა ჩემპიონატის წესდებაში და მომავალში მსგავს ვითარებაში გადათამაშება დააწესა. 1947 წლის ჩემპიონატის პირველი წრის შედეგებით მოსკოვის „დინამო“ 5 ქულით უსწრებდა არმიელებს და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მას ოქროს მედლების მოპოვებაში ვერავინ შეეცილებოდა. მაგრამ მოხდა დაუჯერებელი რამ — მეორე წრის დასაწყისში ლიდერი მძაფრ სპორტულ პაექრობაში დამარცხდა 0-1 ცსკა-სთან, ხოლო ორი მომდევნო მატჩიც კუიბიშევისა და მოსკოვის „კრილია სოვეტოვის“ გუნდებთან ასევე დათმო ერთნაირი ანგარიშით 0-1. რაც შეეხება ცსკა-ს, მათ მეორე წრეში მხოლოდ ერთი ქულა დაკარგეს (ფრე თბილისის „დინამოსთან“). აღსანიშნავია, რომ 1947 წლის სეზონში მოსკოვის „დინამოს“ რიგებში გამოჩნდა მეკარე ვალტერ სანაია, რომელმაც სულ ერთი მატჩის ჩატარება მოასწრო. 1948 წლის სეზონში ვალტერ სანაიას ძირითად შემადგენლობაში არ უთამაშია. სეზონის უკლებლივ ყველა 26 მატჩში კარში ალექსეი ხომიჩი იდგა, ვალტერ სანაიამ 1949 წლის სეზონში დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში და 12 შეხვედრა ჩაატარა ხომიჩთან მონაცვლეობით.

წერილის დასაწყისში მოხსენებული შემადგენლობიდან მხოლოდ 2 ფეხბურთელია დღეს ცოცხალი — გაიოზ ჯეჯელავა და გრიგოლ გაგუა, რომელთაც ამას წინათ XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე სამახსოვრო პრიზები გადაეცათ.

**გთავაზობთ ინტერვიუს ფეხბურთელებთან. ჯერ გრიგოლ გაგუას მოვუსმინოთ:**

● ***ფეხბურთელებიუნდამოერგონ ტაქტიკას თუ ტაქტიკა ფეხბურთელებს?***

— გააჩნია რა სახის ფეხბურთელებია მწვრთნელის განკარგულებაში იმისდა მიხედვით, შედგება ტაქტიკური ქმედების სხვადასხვა ვარიანტი, თუ არა.

● ***თქვენ ხელში ბევრ სახელოვან ფეხბურთელს გაუვლია, ვის გამოარჩევდით მათ შორის?***

— რა თქმა უნდა, კახი ასათიანს, რომელსაც ბრწყინვალე კარიერა ჯერ კიდევ „ნორჩ დინამოელში“ გამოჩენისთანავე ვუწინასწარმეტყველე.

● ***როგორ უყურებთ იმ გარემოებას, რომ დღევანდელი ფეხბურთი ძალზე ძალისმიერი ჩანს?***

— ვფიქრობ, ნორმალურად. რადგან ფეხბურთი ეს ბადმინტონის თამაში არ არის. მასში ძალოვანი სპორტის ილეთები წარსულშიც გამოიყენებოდა და, ვფიქრობ, არც მომავალშიც იტყვიან მასზე უარს.

● ***ბევრ სახელოვან ფეხბურთელს არ სიამოვნებდა თქვენს წინააღმდეგ თამაში, მათ შორის ვის გამოარჩევდით?***

— ვფიქრობ, პირველ რიგში მიხეილ იაკუშინს, რომელიც მკაცრ პრესინგზე ამყავდა და ამოსუნთქვის საშუალებას არ ვაძლევდი, ისე, არც სხვა ფეხბურთელებისთვის დამიყრია კარგი დღე.

● ***რა მიგაჩნიათ ფეხბურთელის დღეგრძელობის საიდუმლოებად?***

— მუდმივი ფიზიკური დატვირთვა წლის ყოველგვარ ამინდში. ფიზიკური მომზადების გარეშე არავითარ ტექნიკას და ტაქტიკას გასავალი არ ჰქონდა წარსულში და მით უმეტეს — არ ექნება მომავალში.

● ***დღევანდელი ფეხბურთელი რის დეფიციტს განიცდის?***

— ვფიქრობ, დღევანდელ ფეხბურთელებს აკლიას ის შემართება, რაც ჩვენი თაობის გუნდს გააჩნდა. მაგალითისათვის, ბორის პაიჭაძეს ბევრჯერ უთამაშია სიცხიანს, მეკარეებს დოროხოვს, შუდრას, მარღანიას, ტყუბუჩავას ტრავმა მიღებულთ არ დაუტოვებიათ მოედანი, მე და მიხა ჭელიძეს ბევრჯერ თავგახეთქილებს არ მიგვიტოვებია თამაში და უფრო მეტი შემართებით გვიბრძოლია მატჩის ბოლომდე.

**ახლა კი გაიოზ ჯეჯელავას მოვუსმინოთ:**

● ***როგორ დაიწყო თქვენი საფეხბურთო კარიერა?***

— რამდენადმე უჩვეულოდ. თბილისის ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის გუნდს ერთ-ერთი ამხანაგური თამაშში მოთამაშე დააკლდა და მოწინააღმდეგის მცველისათვის ხელისშემშლელად მე დამაყენეს. ამ „ხელისშემშლელმა“ სამი ბურთი გავიტანე. შემდეგ ვთამაშობდი საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდში, 1948 წლამდე კი თბილისის „დინამოში“ მარჯვენა გარემარბად. სხვადასხვა დროს ვიყავი ამ გუნდის კაპიტანი და მწვრთნელიც.

● ***როდის უფრო უძნელდებოდა გარემარბს თამაში, წინათ დუბლ-ვე სისტემის დროს თუ ამჟამად?***

— რა თქმა უნდა, დუბლ-ვე სისტემის დროს გარემარბი მეტ შეზღუდვას განიცდიდა და სათამაშო არეც ნაკლები ჰქონდა, ვიდრე ამჟამად.

● ***დაასახელეთ, მატჩები რომლებიც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდათ...***

— მატჩები თბილისსა და ბუქარესტში. 1939 წელს თბილისის „დინამო“ თავის მოედანზე ხვდებოდა მოსკოვის ცდკა-ს. პირველ ტაიმს ვაგებდით 1-4. მეორე ტაიმში ჩვენმა ბიჭებმა შეძლეს ანგარიშის არა მარტო გათანაბრება, არამედ გადამწყვეტი ბურთის გატანაც. ის გოლი მე გავიტანე. 1945 წელს ბუქარესტში რუმინელ ფეხბურთელებთან მატჩს ვაგებდით 2-3. ამ მომენტში მსაჯი რუმინელთა კარში ნიშნავს პენალტს. ურტყამს ბორის პაიჭაძე. მეკარემ შეძლო ბურთის აღება, ბორიამ თავში წაიშინა ხელები, ამ დროს მეკარეს სურს ბურთი დააბრუნოს მოედანზე, ბურთზე ფეხი აუცდა, ასხლეტილი ბურთი ჩემსკენ მოგორავს, რომელიც შეუჩერებლივ გავგზავნე კარში 3-3. — ეს მატჩი თბილისის „დინამომ“ მოიგო 10-5. აქედან 5 ბურთი მე გავიტანე.

● ***თამაშობს თუ არა, თბილისის „დინამო“ შემტევ ფეხბურთს?***

— ის გარემოება, რომ თავდასხმაში მოთამაშეთა რიცხვმა მკვეთრად იკლო და ამჟამად 5-ის მაგივრად გუნდები 2-3 მოთამაშით უტევს, თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ თბილისის „დინამო“ დაცვით ფეხბურთს უფრო მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე შემტევს.

● ***დაასახელეთ თბილისის „დინამოს“ ყველა დროის საუკეთესო შემადგენლობა.***

— 11 მოთამაშის დასახელება მიჭირს. უძლიერესად მივიჩნევ დოროხოვს, მარღანიას, ელოშვილს, ძიაპშიპას, ხურცილავას, ძოძუაშვილს, გაგუას, ჩოხელს, გიორგი სიჭინავას, იამანიძეს, მეტრეველს, ღოღობერიძეს, ბორის პაიჭაძეს, კალოევს, მესხს, პანიუკოვს...

● ***დაასახელეთ მცველი, რომლის წინააღმდეგ გიჭირდათ თამაში?***

— თბილისის ოფიცერთა სახლიდან შოთა ჯოჯუა.

● ***ვის მიიჩნევთ უძლიერეს მეკარედ, მცველად, ნახევარმცველად, თავდამსხმელად, რომელთა წინააღმდეგაც გითამაშიათ?***

— მეკარე ქმელკოვი, მცველი სემიჩასტნი, ნახევარმცველი ვინოგრადოვი, თავდამსხმელები ფედოტოვი და ბობროვი.

● ***რას მიიჩნევთ თანამედროვე ფეხბურთის ნაკლოვან მხარედ?***

— ძირფესვიან გარდაქმნას მოითხოვს ახალგაზრდა ფეხბურთელებთან მუშაობა. ძალზე ცუდად დგას ამ მხრივ საქმე 17-21 წლის ახალგაზრდებთან, აქედან შედეგი — ჩვენს ფეხბურთში იკლო სოლისტთა რიცხვმა, ურომლისოდაც დიდ ფეხბურთზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

● ***თუ გქონიათ საფეხბურთო კარიერის მანძილზე რაიმე გულდასაწყვეტი შემთხვევა?***

— რა თქმა უნდა, ალბათ უიღბლობას უნდა მივაწერო ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის თასის გათამაშების არც ერთ ფინალურ მატჩში არ მიმიღია მონაწილეობა ფეხის ტრავმის გამო. აქვე მინდა დავძინო, რომ სამი სეზონი მენისკის დაავადებით ვითამაშე.

**დემურ ტორაძე**

**P.S. ინტერვიუ აღებულია 70-იან წლებში და თავის დროზე გამოქვეყნდა გაგრის გაზეთ „ავანგარდში“.**

## თქვენთვის, ერუდიტებო!

**1. ვინ გახდა 1995-96 სეზონის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი:**
ა) გიორგი ქინქლაძე (მანჩესტერ სიტი)
ბ) თემურ ქეცბაია (აეკ)
გ) შოთა არველაძე (ტრაბზონსფორი)

**2. ვინ გახდა 1995-96 სეზონის საქართველოს საუკეთესო ბომბარდირი**
ა) მიხეილ აშვეთია (ტორპედო ქუთაისი)
ბ) ზვიად ენდელაძე (მარგვეთი ზესტაფონი)
გ) ალექსანდრე იაშვილი (დინამო თბილისი)

**3. რომელი ფეხბურთელის მეტსახელია „მარტორქა“.**
ა) იეკინი
ბ) კაფუ
გ) სამორანო.

**4. ვინ იყო ინგლისის ნაკრების კაპიტანი 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე:**
ა) ბობი მური
ბ) ბობი ჩარლტონი
გ) ჯეკი ჩარლტონი

**5. რომელ ნაკრებს ეძახიან „სუპერარწივებს“**
ა) კამერუნის
ბ) პარაგვაის
გ) ნიგერიის.

*წინა ნომრის პასუხები: 1-გ, 2-ა, 3-ბ, 4-ა, 5-ბ.*

## 166-ე სკოლა ნიჭიერ ფეხბურთელებს ზრდის

დიდუბის სპორტსკოლის კომპლექსში ფეხბურთში ბავშვთა და მოზარდთა ტურნირი „საქართველოს პრეზიდენტის თასზე“, რომელსაც წინ უსწრებდა სასკოლო შეჯიბრებები. მეორე ეტაპზე რაიონებს შორის გამოვლინდნენ უძლიერესები: 180-ე (ისანი - სამგორი), №1 ცვლიანი და 39-ე (გლდანი – ნაძალადევი), 50-ე (მთაწმინდა – კრწანისი), 57-ე და 161-ე (ვაკე საბურთალო) 166-ე (დიდუბე-ჩუღურეთი) სკოლები. ფინალში 166-ე სკოლის ჭაბუკებმა 6-1 მოუგეს №1 ცვლიანი სკოლის თანატოლებს. მესამე ადგილისთვის მატჩში 39-ე სკოლამ აჯობა 50-ე სკოლის გუნდს 2-0.

შეჯიბრების ორგნანიზატორებია: გაეროს ბავშვთა ფონდი „იუნისები“, ი. ნონეშვილის სახელობის აერთაშორისო ბავშვთა ფონდი, სფფ, თბილისის მერია და საკრებულო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის ქვეყნების ჩემპიონატები

## იტალია

ატალანტა — უდინეზე 0-1
ბარი — ინტერი 1-2
ბოლონია — ლეჩე 2-2
ლაციო — ფიორენტინა 3-0
მილანი — ბრეშა 1-1
ნაპოლი — რომა 2-2
პარმა — ვერონა 1-2
პერუჯა — რეჯინა 1-1
ვიჩენცა — იუვენტუსი0-3

**გათამაშების ცხრილი:**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 33 | 21 | 9 | 3 | 65-32 | 72 |
| იუვენტუსი | 33 | 20 | 10 | 3 | 59-26 | 70 |
| ლაციო | 33 | 21 | 6 | 6 | 64-34 | 69 |
| პარმა | 33 | 16 | 8 | 9 | 50-28 | 56 |
| მილანი | 33 | 12 | 13 | 8 | 55-44 | 49 |
| ინტერი | 33 | 13 | 9 | 11 | 45-46 | 48 |
| ატალანტა | 33 | 10 | 14 | 9 | 37-32 | 44 |
| ფიორენტინა | 33 | 10 | 13 | 10 | 52-50 | 43 |
| ბოლონია | 33 | 11 | 10 | 12 | 48-51 | 43 |
| პერუჯა | 33 | 10 | 12 | 11 | 48-51 | 42 |
| ბრეშა | 33 | 9 | 14 | 10 | 41-41 | 41 |
| უდინეზე | 33 | 11 | 5 | 17 | 47-56 | 38 |
| ლეჩე | 33 | 7 | 13 | 13 | 38-53 | 34 |
| რეჯინა | 33 | 9 | 7 | 17 | 30-48 | 34 |
| ვერონა | 33 | 9 | 7 | 17 | 38-58 | 34 |
| ვიჩენცა | 33 | 8 | 9 | 16 | 34-49 | 33 |
| ნაპოლი | 33 | 7 | 12 | 14 | 33-50 | 33 |
| ბარი | 33 | 5 | 5 | 23 | 30-65 | 20 |

## ესპანეთი

ესპანიოლი —ლას პალმასი 3-2
ბილბაო — სოსიედადი 1-3
მალაგა — რასინგი 2-1
ვალენსია — დეპორტივო 0-1
ვალიადოლიდი — ბარსელონა 2-2
ოვიედო — რეალი 1-1
ალავესი — მალიორკა 2-4
რაიო ვალეკანო — ნუმანსია 2-1
სელტა — ვილიარეალი 1-0
ოსასუნა — სარაგოსა 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 37 | 23 | 8 | 6 | 79-39 | 77 |
| დეპორტივო | 37 | 21 | 7 | 9 | 69-44 | 70 |
| მალიორკა | 37 | 19 | 11 | 7 | 57-41 | 68 |
| ვალენსია | 37 | 18 | 9 | 10 | 53-31 | 63 |
| ბარსელონა | 37 | 16 | 12 | 9 | 77-55 | 60 |
| სელტა | 37 | 16 | 10 | 11 | 50-48 | 58 |
| მალაგა | 37 | 16 | 8 | 13 | 60-57 | 56 |
| ვილიარეალი | 37 | 15 | 9 | 13 | 54-52 | 54 |
| ესპანიოლი | 37 | 14 | 8 | 15 | 46-40 | 50 |
| ალავესი | 37 | 14 | 7 | 16 | 57-57 | 49 |
| რაიო ვალეკ. | 37 | 10 | 13 | 14 | 56-67 | 43 |
| ბილბაო | 37 | 11 | 10 | 16 | 44-57 | 43 |
| სოსიედადი | 37 | 11 | 10 | 16 | 52-67 | 43 |
| ლას პალმასი | 37 | 12 | 7 | 18 | 41-62 | 43 |
| ვალიადოლ. | 37 | 9 | 15 | 13 | 41-48 | 42 |
| სარაგოსა | 37 | 9 | 14 | 14 | 53-56 | 41 |
| ოვიედო | 37 | 11 | 8 | 18 | 49-63 | 41 |
| ოსასუნა | 37 | 9 | 12 | 16 | 42-54 | 39 |
| რასინგი | 37 | 9 | 9 | 19 | 45-62 | 36 |
| ნუმანსია | 37 | 9 | 9 | 19 | 38-63 | 36 |

## თასები

პორტუგალიის თასის ფინალი (ლისაბონი)

პორტუ — მარიტიმუ 2-0

შვეიცარიის თასის ფინალი (ბაზელი)

სერვეტი — ივერდონი 3-0

## დანია

ორჰუსი — ოლბორგი4-0
ჰერფიოლგე — აკადემისკი0-3
მიდტიულანდი — ჰადერსლევი 6-0
ლიუნგბიუ — ოდენსე 1-3
კოპენჰაგენი — ბრიონდბიუ 3-1
ვიბორგი — სილკებორგი 2-4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 32 | 16 | 12 | 4 | 54-27 | 60 |
| სილკებორგი | 32 | 15 | 11 | 6 | 48-34 | 56 |
| ბრონდბიუ | 32 | 16 | 7 | 9 | 69-41 | 55 |
| მიდტიულან. | 32 | 14 | 10 | 8 | 53-42 | 52 |
| ვიბორგი | 32 | 13 | 7 | 12 | 51-40 | 46 |
| ოდენსე | 32 | 13 | 7 | 12 | 49-44 | 46 |
| ოლბორგი | 32 | 12 | 10 | 10 | 49-49 | 46 |
| ლიუნგბიუ | 32 | 12 | 8 | 12 | 40-51 | 44 |
| ორჰუსი | 32 | 13 | 4 | 15 | 52-56 | 43 |
| აკადემისკი | 32 | 8 | 14 | 10 | 42-40 | 38 |
| ჰერფიოლგე | 32 | 6 | 9 | 17 | 39-64 | 27 |
| ჰადერსლევი | 32 | 1 | 7 | 24 | 28-86 | 10 |

## რუსეთი

ჩერნომორეცი — ანჟი 0-0
სპარტაკი — ალანია 1-1
როტორი — ტორპედო 1-1
ტორპედო ზილი — დინამო 1-1
სატურნი — ფაკელი 0-0
სოკოლი — ლოკომოტივი 1-2
როსტსელმაში — კრილია სოვეტოვი 2-0
ცსკა — ზენიტი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრილია სოვ. | 12 | 7 | 2 | 3 | 14-5 | 23 |
| სოკოლი | 12 | 7 | 2 | 3 | 17-15 | 23 |
| ტორპედო | 12 | 6 | 4 | 2 | 23-11 | 22 |
| სპარტაკი | 12 | 6 | 4 | 2 | 12-9 | 22 |
| ლოკომოტ. | 12 | 6 | 3 | 3 | 17-10 | 21 |
| ცსკა | 12 | 5 | 3 | 4 | 12-11 | 18 |
| ზენიტი | 12 | 5 | 3 | 4 | 14-17 | 18 |
| ანჟი | 12 | 4 | 5 | 3 | 9-7 | 17 |
| დინამო | 12 | 3 | 5 | 4 | 14-13 | 14 |
| როსტსელმაში | 12 | 4 | 2 | 6 | 9-12 | 14 |
| სატურნი | 12 | 3 | 4 | 5 | 11-9 | 13 |
| ალანია | 12 | 4 | 1 | 7 | 9-17 | 13 |
| როტორი | 12 | 3 | 3 | 6 | 11-15 | 12 |
| ტორპ. ზილი | 12 | 3 | 3 | 6 | 9-14 | 12 |
| ფაკელი | 12 | 3 | 2 | 7 | 10-14 | 11 |
| ჩერნომორ. | 12 | 2 | 4 | 6 | 6-18 | 10 |



ვიჩენცა — იუვენტუსი

## პოლონეთი

ზაგლემბე — პლოცკი 2-1
ოდრა — ამიცა 2-1
რაძიონკოვი — რუხი 2-3
პოგონი — პოლონია 3-4
ვიძევი — კატოვიცე 0-0
გროცლინი — შლიონსკი 1-2
ლეგია — ვისლა 1-2
გურნიკი — სტომილი 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 29 | 18 | 5 | 6 | 63-27 | 59 |
| ლეგია | 29 | 14 | 8 | 7 | 43-26 | 50 |
| პოგონი | 29 | 15 | 5 | 9 | 42-33 | 50 |
| პოლონია | 29 | 13 | 7 | 9 | 37-28 | 46 |
| ზაგლემბე | 29 | 14 | 4 | 11 | 43-37 | 46 |
| კატოვიცე | 29 | 9 | 14 | 6 | 27-21 | 41 |
| ამიცა | 29 | 12 | 5 | 12 | 45-42 | 41 |
| რუხი | 29 | 12 | 5 | 12 | 46-45 | 41 |
| გროცლინი | 29 | 9 | 10 | 10 | 32-34 | 37 |
| ოდრა | 29 | 9 | 9 | 11 | 37-45 | 36 |
| შლიონსკი | 29 | 9 | 8 | 12 | 32-38 | 35 |
| ვიძევი | 29 | 9 | 8 | 12 | 33-40 | 35 |
| სტომილი | 29 | 10 | 4 | 15 | 22-40 | 34 |
| გურნიკი | 29 | 9 | 6 | 14 | 28-34 | 33 |
| რაძიონკოვი | 29 | 9 | 4 | 16 | 26-45 | 31 |
| პლოცკი | 29 | 8 | 4 | 17 | 31-52 | 28 |

## ნორვეგია

ბრანი — ბოდო-გლიმტი 2-2
ლილესტრიომი — მიოლდე 4-1
ლინი — რუსენბორგი 1-1
ოდგრენლანდი — მოსი 3-1
სოგნდალი — ტრომსიო 0-3
სტრიომგ ოდსეტი — ბრინი 4-0
სტაბეკი — ვიკინგი 0-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიკინგი | 10 | 8 | 2 | 0 | 24-9 | 26 |
| რუსენბორგი | 10 | 8 | 1 | 1 | 30-10 | 25 |
| ლილესტრ. | 10 | 6 | 1 | 3 | 20-15 | 19 |
| ბრანი | 10 | 5 | 2 | 3 | 27-17 | 17 |
| მოლდე | 10 | 5 | 2 | 3 | 22-15 | 17 |
| ოდ გრენლან. | 10 | 5 | 2 | 3 | 18-11 | 17 |
| სტაბეკი | 10 | 5 | 1 | 4 | 13-19 | 16 |
| მოსი | 10 | 4 | 1 | 5 | 13-16 | 13 |
| ტრომსო | 10 | 3 | 0 | 7 | 8-15 | 9 |
| სტრიომ გოდ. | 10 | 2 | 3 | 5 | 14-24 | 9 |
| სოგნდალი | 10 | 3 | 0 | 7 | 9-23 | 9 |
| ბრინი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-20 | 8 |
| ლინი | 10 | 1 | 4 | 5 | 12-16 | 7 |
| ბოდო გლიმ. | 10 | 1 | 3 | 6 | 8-18 | 6 |

## ფინეთი

ატლანტისი — იოკერიტი 3-0
ტამპერე — ჰიკი 3-2
კუოპიო — როვანიემი 1-0
ვაასა — ჰაკა 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკი | 12 | 5 | 5 | 2 | 18-9 | 20 |
| მიუპა | 10 | 5 | 4 | 1 | 16-7 | 19 |
| ატლანტისი | 10 | 5 | 4 | 1 | 15-7 | 19 |
| ჰაკა | 11 | 5 | 3 | 3 | 13-7 | 18 |
| ინტერი | 9 | 5 | 2 | 2 | 15-9 | 17 |
| ვაასა | 11 | 5 | 1 | 5 | 12-14 | 16 |
| ტამპერე | 9 | 4 | 3 | 2 | 10-10 | 15 |
| კუოპიო | 10 | 2 | 4 | 4 | 4-10 | 10 |
| იოკერიტი | 11 | 2 | 3 | 6 | 11-18 | 9 |
| ლახტი | 9 | 2 | 1 | 6 | 5-11 | 7 |
| როვანიუმი | 9 | 1 | 4 | 4 | 5-11 | 7 |
| ჯაზი | 9 | 1 | 2 | 6 | 4-15 | 5 |

# სად არ თამაშობენ ლიტველები!

როცა ბენიამინას ზელკიავიჩუსი მატჩის წინ ლიტვის ნაკრებს ადგენს, ითვალისწინებს, რომ მთლიანად დამოკიდებულია საზღვარგარეთ მოთამაშე ფეხბურთელებზე.

მართლაც, სად არ თამაშობენ ლიტველები! ერთი მეკარე — გინტარას სტაუჩე გერმანულ „დუისბურგში" გამოდის, მეორე ვაიდოტას ჟუტაუტასი ისრაელის „რანადანში", ნაკრების მცველებიდან დარიუს გლავეცკასი დონეცკის „შახტარშია" (უკრაინა), თომას ჟვირგჟდაუსკასი — „პოლონიაში" (პოლონეთი), აურელიუს სკარბალიუსი — დანიის „ბრონდბიუში", ტადას გრაჟიუნასი — „როსტსელმაში" (რუსეთი), იგნას დედურა — მოსკოვის „ტორპედო-ზილში" (რუსეთი).

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა შუა ხაზზე, სადაც გამოდიან დავიდას შემბერასი (მოსკოვის „დინამო" რუსეთი), თომას რაჟანაუსკასი („ბრანი", ნორვეგია), საულიუს მიკალაიუნასი (მოსკოვის „ტორპედო-ზილი". რუსეთი). ორესტას ბუიტკუსი (რიგის „სკონტო", ლატვია), დევიდას ჩერნაუსკასი (მოსკოვის „დინამო", რუსეთი), რაიმონდას ჟუტაუტასი (ჰაიფას „მაკაბი" ისრაელი).

ახლა თავდასხმასაც გადავხედოთ. იგორ მორინი გამოდის გერმანულ „ჰანოვერ-96"-ში, ედგარას იანკაუსკასი სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადში" (ესპანეთი), რობერტას პოშკუსი — „პოლონიაში" (პოლონეთი), არტურას ფომენკო — „როსტსელმაში" (რუსეთი).

# როცა ფეხბურთელის გვარი... ხულიგანია

საიდან წარმოიშვა ეს სიტყვა „ხულიგანი"? აი საიდან: 200 წლის წინათ ლონდონში ცხოვრობდა ოჯახი, რომლის გვარი იყო ხოლიგენი. იგი სასტუმროს პატრონი იყო. როგორც კი დაღამდებოდა, ხოლიგენები ძარცვავდნენ სასტუმროში მცხოვრებლებს. რამდენიმე ხნის შემდეგ ყველაფერი გამომჟღავნდა, ხოლიგენები დააპატიმრეს და დასაჯეს. ამ ავაზაკების სახელი ფართოდ გახდა ცნობილი, გვარმა კი საზოგადო სახელის მნიშვნელობა მიიღო, და, მცირეოდენ შეცვლილი სახით, სხვადასხვა ენაშიც კი შევიდა.

ახლა ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედის" შემადგენლობაში არის ერთი ახალგაზრდა თავდამსხმელი — გევინ ხოლიგენი, რომელსაც მეტად ავყია ხასიათი აქვს. ხომ არ არის იგი იმ ძველი ავაზაკების ჩამომავალი, თავიანთი სასტუმროს მცხოვრებლებს რომ ძარცვავდნენ? როგორც გაირკვა, არა. მისი პაპა და დიდედა ინგლისში იამაიკიდან გადასახლებულან და რაიმე დამოკიდებულება იმ ძველ ხოლიგნებთან არ უნდა ჰქონდეთ.

## კონფედერაციის თასი

# რა თქმა უნდა, ფრანგები

ბევრი მიმომხილველის აზრი, ‵რომ კონფედერაციის თასის ფინალში მაინცდამაინც საფრანგეთისა და ბრაზილიის ნაკრებები უნდა შეხვედროდნენ, არ გამართლდა. რა თქმა უნდა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები — ფრანგები, რომლებიც არცთუ ყველაზე უკეთესი, მაგრამ მაინც მეტად ძლიერი შემადგენლობით გამოდიოდნენ, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები მთავარ მეტოქედ მიაჩნდათ, მაგრამ ვერავინ იტყვის იაპონიაში და კორეაში ემერსონ ლეაომ, ქვეყნის რომელი ნაკრები ჩაიყვანა. ზოგი კომენტატორი მას მეორე ნაკრებს უწოდებს, ზოგი — მესამეს, ზოგიც... არანაირს!

რა მოხდა წინასწარ ჯგუფურ მატჩებში?

„A" ჯგუფში ფრანგებმა სამხრეთ კორეელებთან სრულიად იოლი მოგების (5-0) შემდეგ მეორე მატჩში მკვეთრად შეცვალეს შემადგენლობა და ავსტარლიელებთან ნაკრების 5 (!) დებიუტანტი გამოიყვანეს. ამან, საბოლოო ანგარიშით, არ გაამართლა. ავსტრალიელები მეტად შეუპოვრად იბრძოდნენ. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მეკარე შვარცერმა, რომელიც ინგლისურ „მიდლსბროში" თამაშობს. ვილტორმა და ნემ ვერ გამოიყენეს ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობები. თამაშის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომელიც ავსტრალიელმა ზეინმა (გამოდის ნორვეგიულ „ლილიესტრემში") 59-ე წუთზე გაიტანა. მესამე მატში ჩემპიონებმა კვლავ დიდი ანგარიშით (4-0) მოუგეს მექსიკელებს, მაგრამ რომ ავსტრალიელების მოულოდნელი დამარცხება არა სამხრეთ კორელეებთან (0-1), პირველ ადგილზე ვერ გავიდოდნენ. საბოლოოდ ფრანგებმა და ავსტრალიელებმა წინასწარი ჯგუფი 6-6 ქულით დაამთავრეს, ამდენივე მოაგროვეს სამხრეთკორეელებმაც. ბურთების უკეთესი სხვაობის გამო პირველი ადგილი ფრანგებს მიაეკუთვნათ, მეორე კი ავსტრალიელებს.

B ჯგუფში ბრაზილიელებმა პირველ ტურში კი მოუგეს (2-0) კამერუნელებს, მაგრამ მომდევნო შეხვედრები უხეიროდ წარმართეს. 0-0 კანადელებთან მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონების უდავო მარცხი იყო. ექსპერტების აზრით, ერთადერთი „ნათელი წერტილი" სამხრეთამერიკელებთან იყო ფაბიო როშემბაკი, ‵რომელმაც „ბარსელონასთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი. კიდევ ერთმა ფრემ (0-0) იაპონელებთან ბრაზილიელებს მხოლოდ მეორე ადგილი არგუნა, პირველზე კი მასპინძლები გავიდნენ, რომლებმაც ჯერ კანადელებს მოუგეს (3-0), შემდეგ კი კამერუნელებსაც (2-0). იაპონელთაგან შესანიშნავად თამაშობდა მეკარე კავაგუჩი („იოკოჰამა მარინოსი").





მაშ ასე, ფრანგები და ბრაზილიელები ფინალის ნაცვლად ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს, მეორე წყვილი კი იაპონელებმა და ავსტრალიელებმა შეადგინეს.

იაპონელებმა ანგარიშით 1-0 მოუგეს ავსტრალიელებს. დიდი უპირატესობა ჰქონდათ ფრანგებს ბრაზილიელებთან, თუმცა მთელი რიგი ფეხბურთელების, პირველ რიგში კი ვილტორის ზედმეტად თავდაჯერებული, ზოგჯერ კი უყურადღებო თამაშის გამო ეს მხოლოდ ანგარიშის მინიმალურ სხვაობაში — 2-1 აისახა.

მესამე ადგილისათვის მატჩში ბრაზილიელები კვლავ დამარცხდნენ ავსტრალიეელებთან. ეს ერთადერთი გოლი თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე მერფიმ (თამაშობს ინგლისურ „შეფილდ იუნაიტედში") გაიტანა. მიმომხილველებმა გამოთქვეს აზრი, რომ მეოთხე ადგილს კონფედერაციის თასზე ბრაზილიაში ემერსონ ლეაოს არავინ აპატიებს.

ფინალური მატჩი იოკოჰამაში გაიმართა. ფრანგებმა იაპონელები, რომლებსაც არ ჰყავდათ წამყვანი ფეხბურთელი ხიდეტოში ნაკატა, (გაფრინდა ევროპაში და „რომას" შეუერთდა) დაამარცხეს ვიეირას მიერ პირველ ტაიმში გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით, ისე კი, უზარმაზარი ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა ჰქონდათ.

ასე შეასრულეს ფრანგებმა თავისებური „ჰეთ-თრიკი". 1998 წელს მოპოვებულ მსოფლიო ჩემპიონობას და 2000 წლის ტრიუმფს ევროპის პირველობაზე ახლა კონფედერაციის თასზე გამარჯვებაც შემატეს.

პირველ 4 ადგილზე გასულმა ნაკრებებმა მდიდრული ჰონორარი მიიღეს: ფრანგებმა — 2 მილიონ 250 ათასი დოლარი, იაპონელებმა — მილიონნახევარი, ავსტრალიელებმა — მილიონ 250 ათასი, ხოლო ბრაზილიელებმა — მილიონი დოლარი.

**ბიძი თორელი**



საფრანგეთის ნაკრები. კონფედერაციის თასის მფლობელი

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები



### დეშამი „მონაკოში"

საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა დიდიე დეშამმა ხელი მოაწერა კონტრაქტს საფრანგეთის „მონაკოსთან". მან ამ თანამდებობაზე შეცვალა კლოდ პიუელი. დეშამის თანამდებობა გუნდში ოფიციალურად, ტექნიკური დირექტორობაა, ვინაიდან მას არა აქვს მწვრთნელის დიპლომი.

*სურათზე: დიდიე დეშამი*

### კიუნი შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელი

მას შემდეგ, რაც შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელმა ენცო ტროსერომ დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ (სლოვენიასთან წაგებული მატჩის გამო) შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციამ მთავარ მწვრთნელად დანიშნა კობი კიუნი. ეს პირველი შემთხვევაა 1989 წლის შემდეგ, როცა შვეიცარიის ნაკრებს გაწვრთნის შვეიცარიელი მწვრთნელი. მანამდე სპეციალისტები მოწვეულნი იყვნენ გერმანიიდან, ინგლისიდან და არგენტინიდან.

58 წლის კიუნს, 63-ჯერ უთამაშია შვეიცარიის ნაკრებში, მისი კონტრაქტი 2004 წლამდეა. ის მანამდე შვეიცარიის ახალგაზრდა ნაკრების მწვრთნელად მუშაობდა.



### „ტოტენჰემი" ძლიერდება

„ტოტენჰემმა" ხელი მოაწერა კონტრაქტს ურუგვაიელ ნახევარმცველ გუსტავო პოიეტთან, რომელიც „ჩელსიში" გამოდიოდა. პრესკონფერენციაზე „ტოტენჰემის" გენერალურმა მენეჯერმა გლენ ჰოდლმა განაცხადა, რომ კონტრაქტი სამწლიანია. შეგახსენებთ, რომ „ტოტენჰემმა" უკვე გააფორმა კონტრაქტი ისეთ ფეხბურთელებთან, როგორიცაა ტედი შერინგემი და გორან ბუნ ჯენოვიჩი.

*სურათზე: გუსტავო პოიეტი*

### ლეაო გადადგა

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ემერსონ ლეაომ ტოკიოს აეროპორტში ბრაზილიაში გაფრენამდე დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ და გადასცა ნაკრების კოორდინატორს ანტონიო ლოპესს.



*ემერსონ ლეაო*

### იორკმა ახალი კლუბი უნდა ეძებოს

„მანჩესტერ იუნაიტედის", ტრინიდადისა, და ტობაგოს ნაკრების თავდამსხმელი დუაიტ იორკი ტოვებს კლუბს. ამის მიზეზია უთანხმოება მთავარ მწვრთნელ ალექს ფერგიუსონთან.

ფერგიუსონი ადრეც უკმაყოფილო იყო, რომ იორკი ხშირად ტოვებდა კლუბს და ნაკრებში სათამაშოდ მიემგზავრებოდა. ამასთან, ტრინიდადელი საკმაოდ იშვიათად თამაშობდა „მანჩესტერ იუნაიტედის" ძირითად შემადგენლობაში. სეზონის განმავლობაში იორკმა უკვე რამდენჯერმე განაცხადა, რომ კლუბის დატოვება სურს.

ამ დღეებში იორკი და მისი პარტნიორი ნაკრებიდან რასელ ლეტეიპი (რომელიც შოტლანდიურ „ჰიბერნიანში" გამოდის) პოლიციამ დააკავა — ისინი ნასვამები მართავდნენ მანქანას. ლეტეიპი მეორე დღესვე გაირიცხა გუნდიდან, იორკს კი წინადადება მიეცა ახალი კლუბი ეძებოს. იგი შეიძლება „ჩელსიში", „ნიუკასლ იუნაიტედში", ანდა, თავის ყოფილ კლუბ „ასტონ ვილაში" ჩაირიცხოს.

# „მოცეკვავევ, მოგვშორდი თავიდან!"

## თუ ანდრეას მიოლერის სრული ტრიუმფი?

**ანდი მიოლერს დორტმუნდის „ბორუსიასთან" საქმე გართულებული ჰქონდა. ერთი მხრივ, იგი გერმანიაში ერთ-ერთ უნიჭიერეს ფეხბურთელად ითვლებოდა (ზოგი ექსპერტის აზრით, იგი ნიჭით თვით ფრანც ბეკენბაუერსაც არ ჩამოუვარდება), მაგრამ რა გინდათ, თამაშში აშკარად „იზოგავდა" თავს, ბრძოლას ერიდებოდა, მსაჯებს გაუთავებლად „ეჭიჭყინებოდა". ამის გამო, გულშემატკივრებს არ უყვარდათ, დაარქვეს „შვალბე" (გერმ. „მერცხალი", მინდორზე მსაჯთან განუწყვეტელი „ჭიკჭიკის", დავის გამო). მიოლერს დაატოვებინეს ნაკრები, დორტმუნდის „ბორუსიასაც" თავის ფეხბურთელთან სერიოზული პრეტენზიები ჰქონდა.**

და აი, როცა ამ კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა, ანდი მიოლერი, უკვე თავისუფალი აგენტი გელზენკირხენის „შალკე 04"-ში გადავიდა. „შალკე-04" 1999-2000 წლების ჩემპიონატში მეცამეტე ადგილზე გავიდა, არც დიდი თანხები ჰქონდა და არც დიდი არჩევანი. 2000-2001 წლების ჩემპიონატი რომ იწყებოდა, ყოვლკვირეულმა „კიკერმა" ექსპერტების გამოკითხვა მოაწყო. ცნობილმა ოსტატმა თომას ჰელმერმა „შალკეს" მერვე ადგილი უწინასწარმეტყველა, არანაკლებ ცნობილმა შტეფან კუნცმა — მეცხრე, თვით ჟურნალმა „კიკერმა" მეთერთმეტე, ექსპერტები მაინცდამაინც დიდ პატივს არც მწვრთნელს, ჰოლანდიელ ჰუუბ სტევენსს არ სცემდნენ, რომელიც მხოლოდ მენეჯერ რუდი ასაუერთან მეგობრობამ გადაარჩინა. ერთი სიტყვით, „შალკესაგან" კარგს არაფერს ელოდნენ.

უკვე სახელგატეხილი მიოლერი, რომელსაც გერმანიაში დაცინვით „კრონენბურგის ჰერცოგსაც" ეძახიან ამ სახელწოდების ლუდისადმი დიდი მიდრეკილების გამო, შეიძლება „შალკე 04"-ში არც კი მიეღოთ, მაგრამ მასში ხომ ერთი მარკაც არ გადაუხდიათ. გელზენკირხენი რურის ოლქის სამრეწველო ქალაქია, იქ შახტებისა და ქარხნების გარდა, საერთოდ არაფერი არ არის, მას არაფერი აქვს საერთო არისტოკრატიულ — ბურჟუაზიულ დორტმუნდთან უზარმაზარი ფინანსური შესაძლებლობებით. გელზენკირხენელ გულშემატკივარს უყვარს მებრძოლი ფეხბურთელები, თვალში არ მოსდის „მსახიობები", განსაკუთრებით კი ისეთები, როგორიც ანდი მიოლერია. ამიტომაც იყო, რომ, როცა იგი „ბორუსიის" შემადგენლობაში გელზენკირხენის „პარკშტადიონზე" გამოდიოდა, მისი გვარის გამოცხადებას გამაყრუებელი სტვენა და ყიჟინა მოჰყვებოდა.



*ანდრეას მიოლერი*

უკვე პირველი მატჩის წინ რუდი ასაუერმა მიოლერს უთხრა. „ახალგაზრდავ, მძიმე წელი გელის. შენც და ყველა ჩვენგანსაც. თუკი ტრიბუნები ცუდად მიგიღებენ, ყველანი დავზარალდებით".

და აი, მიოლერი მინდორზე გამოვიდა და პირველი, რაც დაინახა, ეს უზარმაზარი პლაკატი იყო: „მოცეკვავევ, მოგვშოროდი თავიდან!"...

... შემდეგ, რაც მოხდა, ყველასათვის კარგად არის ცნობილი. სად იყო „ბალერინა" მიოლერი?! ანდი რაღაც განსაკუთრებული ჟინით, გავეშით იბრძოდა, სისწრაფე მას, იცოცხლეთ, აქვს, თამაშის გაძღოლის ნიჭი ხომ პირდაპირ დიდებული. გამოირკვა (ძალიან გვიან გამოირკვა!), რომ მიოლერი „მოცეკვავე" კი არ არის, არამედ პირდაპირ პროლეტარულ ქალაქ გელზენკირხენის გუნდისათვის შესაფერისი მებრძოლი, უფრო მეტიც, გუნდის ნამდვილი წინამძღოლი.

საყოველთაო აღიარებით, 2000-2001 წლების სეზონი საუკეთესო იყო ანდი მიოლერის მრავალწლიან კარიერაში. „შალკე-04"-ის მეორე ადგილი (იგი ხომ კინაღამ ჩემპიონიც გახდა!) განსაცვიფრებელ წარმატებად ჩაითვალა, გავიხსენოთ, როგორ საბოლოო შედეგს უწინასწარმეტყველებდნენ. და ამ წარმატებაში გადამწყვეტი როლი სწორედ მიოლერმა შეასრულა. დიახ, დიდი იყო თავდამსხმელთა დუეტის: ებე სანდისა და ემილ მპენზას წარმატებაც. მათ ორივემ ერთად 35 გოლი გაიტანეს და 21 საგოლე გადაცემის ავტორებიც გახდნენ. მაგრამ რას გახდებოდნენ ეს თუნდაც ნიჭიერი სნაიპერები, ისეთი წარმმართველი და თამაშის კონსტრუქტორი რომ არ ჰყოლოდათ, როგორიც მიოლერია?

გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გიჩვენებო! როცა გაუჭირდა, ყველამ გალანძღა და გააკრიტიკა, ანდი მიოლერი ისე „გაიქცა", რომ... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მისი დამსახურებაა ახალი და ძველი ჩემპიონის — „ბაიერნის" დამარცხება გელზენკირხენშიც (3-2) და მიუნხენშიც (3-1), რასაც ცხადია, მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა ვერ ექნებოდა.

**ბიბი თორელი**

# დეიან სავიჩევიჩი: წარსული და მომავლის იმედი

**დეიან სავიჩევიჩი 35 წლისაა. მისი საფეხბურთო კარიერა ბრწყინვალე გამოდგა, თუმცა, იმ დროს მოუხდა თამაში, როცა იუგოსლავია არაერთი ურთულესი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. სავიჩევიჩი იმ „ცრვენა ზვეზდის" ერთ-ერთი ლიდერი იყო, რომელმაც ჯერ ევროპის ჩემპიონთა, შემდეგ კი საკონტინენტთაშორისო თასიც მოიპოვა, რაც, ცხადია, იუგოსლავიური ფეხბურთის ნამდვილ ტრიუმფად ჩაითვალა. თურმე ეს უკანასკნელი ტრიუმფი ყოფილა, ვინაიდან 1992 წელს უკვე ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასულ ნაკრებს შვეციაში გამგზავრების უფლება ჩამოართვეს და მის ნაცვლად დანიელები მიიწვიეს. ბედი არ გინდა?! „შემთხვევით დაშვებული" დანიელები ევროპის ჩემპიონები გახდნენ.**

თვით სავიჩევიჩი ექვსი სეზონის განმავლობაში „მილანში" გამოდიოდა. საინტერესოა, რომ მანამდე იგი ერთ-ერთ მატჩში ნახა „მილანის" პატრონმა, ქვეყნის ახლანდელმა პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ და ძალიან მოეწონა. მან გააფორმა კიდეც კონტრაქტი იუგოსლაველთან, თუმცა ჯიუტი არიგო საკი ამის წინააღმდეგი იყო. ბერლუსკონი ცდილობდა მწვრთნელთან ურთიერთობა არ გაემწვავებინა, საკი კი აცხადებდა, რომ სავიჩევიჩი არ სჭირდება, დიდხანს ძირითად შემადგენლობაშიც არ გამოჰყავდა, თუმცა ისეთი ბრწყინვალე ტალანტის მქონე ფეხბურთელს, როგორიც სავიჩევიჩია, სად „დამალავდა".

სავიჩევიჩი თანდათან „მილანის" ერთ-ერთი ლიდერი გახდა. მისი მონაწილეობით გუნდი სამჯერ იყო იტალიის ჩემპიონი, 1994 წელს კი ჩემპიონთა თასსაც დაეუფლა. ეს უკვე მეორედ მოხდა დეიან სავიჩევიჩის ცხოვრებაში.

თუ იუგოსლავიელის კარიერაში შეიძლება ერთი რომელიმე მატჩის გამოყოფა, ეს სწორედ ფინალური შეხვედრაა ჩემპიონთა თასზე „ბარსელონასთან". „მილანმა" მოიგო ანგარიშით 4-0, ამასთან, სავიჩევიჩმა განსაკუთრებით კარგად ითამაშა. მას იტალიაში „გენიოსს" უწოდებდნენ.

ამ 6 შესანიშნავი სეზონის შემდეგ სავიჩევიჩი ვენის „რაპიდში" გადავიდა, სადაც ბოლო სეზონამდე თამაშობდა. ჯერ კიდევ მოქმედ ფეხბურთელად ითვლებოდა, როცა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი დავალება მიიღო. მას მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მეტად მძიმე მდგომარეობაში მყოფი იუგოსლავიის ნაკრები უნდა მოემზადებინა (მართალია, სხვა სპეციალისტებთან ერთად) ჯერ რუსეთის, შემდეგ კი ფარერების კუნძულების ნაკრებებთან 2 და 6 ივნისის მატჩებისათვის. უნდა ითქვას, რომ ეს ამოცანა სავიჩევიჩმა კარგად გადაწყვიტა, 4 ქულა მოაგროვა, რაც ნაკრებს მეორე ადგილისათვის ბრძოლის გაგრძელების საშუალებას აძლევს.

აი რამდენიმე ნაწყვეტი სავიჩევიჩის ინტერვიუდან:

● *რას გვეტყვით თქვენი უახლოესი მომავლის შესახებ?*

— მხოლოდ იმას, რომ ვენაში აღარ დავრჩები. ამის მიზეზი აქაური ბუნებრივი პირობებია და წელიწადში ორჯერ მომზადების აუცილებლობა. მომზადების პირველი პერიოდი ივნისშია, მეორე — თებერვალში, საზამთრო არდადეგების შემდეგ. ეს ჩემთვის შეუფერებელია. შემდეგ, აქ ძალიან ცივა, მე სულ უფრო და უფრო მიჭირს შეჩვევა. ასაკი მოქმედებს, 35 წელი 25 არ არის. ამავე დროს, ცოტა ზურგიც მტკივა.

● *ცოტას ხომ არ აჭარბებთ?*

— ავსტრიაში ნოემბერ-იანვარში ისე ცივა, რომ პირდაპირ კბილები მიკაწკაწებს. ერთხელ ამ პერიოდში მილანში ჩავედი, მეგონა, კალიფორნიაში ვიმყოფებოდი.

● *გამოდის, რომ სიცივემ სამუდამოდ დაგაფრთხოთ.*

— მხოლოდ სიცივე როდი მაწუხებს. სულ უფრო და უფრო მიჭირს დილაობით ვარჯიში. თამაში მომწონს, ფეხბურთი მიყვარს, მაგრამ დილაადრიანად მიჭირს ადგომა. ხომ არ მოვძებნო რომელიმე ესპანური კლუბი, რომელიც მხოლოდ სადილის შემდეგ ვარჯიშობს.

● *რას იზამთ, თანამედროვე ფეხბურთი ხომ, უპირველეს ყოვლისა, ვარჯიშებისაგან შედგება. რაიმეზე გული ხომ არ გწყდებათ?*

— მინდოდა ისევე კარგად მეთამაშა, როგორც 7-8 წლის წინათ. იმ პერიოდთან შედარებით ახლა ფეხბურთი უფრო შემტევი ხასიათისაა. ბევრი გუნდი სამი თავდამსხმელით თამაშობს, ან მესამეს რამდენადმე უკან სწევს, ორი შეტევის ზურგში. ნამდვილად გული მწყდება, რომ არ ვითამაშე სწორედ ამ პოზიციაზე, ჩვემთვის რომ მეტისმეტად შესაფერისი იყო: ამ ორი თავდამსხმელის ზურგში, ისევე, როგორც თამაშობენ ტოტი ან ზიდანი. მინდოდა შევჩვეოდი ფრთაზე თამაშს, რაც, უნდა ვაღიარო, გამიჭირდა კიდეც.

● *ახლა იუგოსლავიის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი გახდით, თუმცა, შესაძლებელია, დროებით.*

— ეს ჩემთვის სიურპრიზი იყო, ასეთ მოწვევას არ ველოდი. მწვრთნელთა საბჭოში იმიტომ მიმიწვიეს, რომ ახლანდელი ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ბევრ ფეხბურთელთან ერთად ვთამაშობდი, მათ 80 პროცენტს ძალიან ახლოს ვიცნობ. წინანდელ ნაკრებში ნორმალური ატმოსფერო არა ყოფილა. შეიძლება ახლა რაღაც შეიცვალოს. უნდა გითხრათ, რომ უსასყიდლოდ ვმუშაობ.

● *თქვენთან ერთად მწვრთნელთა საბჭოში არიან ბოშკოვი, ჩურკოვიჩი, ფილიპოვიჩი და ვუკოტიჩი. ვინ არჩევდა მოთამაშეებს მატჩის წინ.*

— ყველაფერს ერთად ვაკეთებთ, ერთმანეთთან თანხმობით და ურთიერთგაგებით.

● *რა შეიძლება მოხდეს 6 ივნისის მატჩის შემდეგ?*

— არ ვიცი. ზაფხულში იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის გადარჩევნებია. მაშინ, შეიძლება, რაღაც შეიცვალოს. მე კი გულახდილად გეტყვით, არც კი მინდა ვიფიქრო იმაზე, რომ ახლავე რომელიმე გუნდის მწვრთნელი გავხდე, მით უმეტეს, იუგოსლავიის ნაკრების. მწვრთნელის ცხოვრება მეტად რთულია.

● *საკისთანაც ვარჯიშობდით და კაპელოსთანაც: ვინ უფრო ახლოსაა თქვენთან საფეხბურთო თვალსაზრისით?*

— კაპელოს დიდ მწვრთნელად ვთვლი, თუმცა მასთან ურთიერთობაში ერთგვარი პრობლემებიც მქონდა. საკიც მაღალი კლასის მწვრთნელი იყო, მაგრამ მას არ შეეძლო კოლექტივის მართვა. მასთან მეტად დაძაბული ურთიერთობა წარმოიქმნებოდა ხოლმე. მატჩამდე მოთამაშეებს აიძულებდა ძალიან ბევრი ემუშავათ.

ერთი სიტყვით, დეიან სავიჩევიჩი გზის გასაყარზეა: არც თამაშისათვის თავის დანებება უნდა, ამასთან, გრძნობს, რომ ამის დრო დადგა. არც ის არის ნათელი, როგორ გაგრძელდება მისი თანამშრომლობა იუგოსლავიის ნაკრებთან, თუმცა, ყველაფერი სულ მალე გაირკვევა.

**ბიბი თორელი**

## ევროპის ჩემპიონატი ჭადრაკში

# დაწინაურდა ლიუკ ვან ველი

ევროპის პირველობაზე ჭადრაკში ვაჟთა შორის, რომელიც მაკედონიის საკურორტო ქალაქ ოჰრიდში მიმდინარეობს, გათამაშდა 8 ტური. წინ კიდევ დიდი დისტანციაა — 5 ტური, სადაც შეიძლება ყველაფერი მოხდეს, ისე რომ, ჯერჯერობით იმათაც შეუძლიათ მდგომარეობის გამოსწორება, ვინც გათამაშების ცხრილს ბოლოში მოექცა.

204 მონაწილეს შორის 144 დიდოსტატია. შეჯიბრებაში მონაწილეობისაგან თავი იმან შეიკავა, ვისაც მსოფლიო პირველობაზე გამოსვლის პერსონალური უფლება აქვს, თუმცა ზოგი, მაგალითად, ზურაბ აზმაიფარაშვილი ვარჯიშის მიზნით მაინც თამაშობს.

8 ტურის შემდეგ 7 ქულით წინ არის ჰოლანდიელი დიდოსტატი ლიუკ ვან ველი.

ქართველ მოჭადრაკეთაგან დღეისათვის ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვთ ზურაბ აზმაიფარაშვილსა და გიორგი ყაჭეიშვილს — 5-5 ქულა. აზმაიფარაშვილს 3 თამაშიდან 2 ქულა ჰქონდა, მეოთხეში დამარცხდა (ახალგაზრდა ესპანელ ვალეხოსთან), მაგრამ ბოლო ორ ტურში ორივე მოიგო, ყაჭეიშვილი, ისევე როგორც ზურაბ სტურუა (4,5 ქულა) და საქართველოს ჩემპიონი მიხეილ მჭედლიშვილი (4) მსოფლიო ჩემპიონატის საგზურისათვის იბრძვიან. იქ 204 მონაწილიდან 46 უძლიერესი გავა. თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ 3,5 - 3,5 ქულა აქვთ, მაგრამ ეს შესაძლებლობა (რა თქმა უნდა, საუკეთესო ფინიშის შემთხვევაში) არ დაუკარგავთ საერთაშორისო ოსტატებს ბადურ ჯობავას და ზვიად იზორიას.

## კირსან ილიუმჟინოვი: ჭადრაკში ჩემი პირადი ინვესტიცია 31 მილიონი დოლარია

ელისტაში პრეს-კონფერენცია გამართა ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა.

– ფიდე თანმიმდევრული მოქმედებით ახდენს საჭადრაკო სამყაროში არსებული არეულ-დარეულობის ლიკვიდაციას. ზოგს მღვრიე „საჭადრაკო წყალში" კვლავ სურს თევზის დაჭერა. სხვადასხვა შეჯიბრების ორგანიზატორებმა არაერთხელ მთხოვეს დამატებითი თანხები „ჩემპიონების" მოსაწვევად. ასეთ მონაწილეებს ჰონორარი ჩუმად კი არ უნდა



კირსან ილიუმჟინოვი

გადავუხადოთ, არამედ შევეცადოთ საერთო საპრიზო ფონდის გაზრდას. რახან უარყოფითად ვხვდებით ზოგიერთი განთქმული მოჭადრაკის წინასწარ კითხვას: „რამდენს გადამიხდით ტურნირში მონაწილეობისათვის?", ამიტომ მათ მიიჩნიეს, რომ ინტერესები ელახებათ და გაერთიანდნენ ჩვენს წინააღმდეგ. ამ წამყვანი მოჭდრაკეების ინტერესები მკვეთრად განსხვავდება იმათთაგან, რომელთა ბიუჯეტი მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზეა გათვლილი. ვცდილობთ მსოფლიო ჩემპიონატი სტაბილური გავხადოთ, ყოველთვის დანიშნულ დროზე დავიწყოთ.

ნახეთ, რამდენი ორგანიზაცია შექმნეს ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, ფიდესათვის რომ ძალაუფლება წაერთმიათ: გმა (დიდოსტატთა მსოფლიო ასიციაცია), პშა (პროფესიული საჭადრაკო ასოციაცია), ვშს ( მსოფლიო საჭადრაკო საბჭო), „ბრეინ გეიმზიც" დაიხმარეს, კიდევ რაღაც სხვა, და მაინც იძულებულნი გახდნენ ეღიარებინათ, რომ ფიდე ერთადერთი ორგანიზაციაა, ყველა მოჭადრაკეს რომ აერთიანებს, მხოლოდ მას შეიძლება რომ მიმართონ. ფიდეს საიტზე ახლა უამრავი თხოვნა მოდის. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ.

5 წელიწადი ვიბრძოდი, რათა ფიდე ერთადერთი საჭადრაკო ორგანიზაცია ყოფილიყო და ამ ბატონებსაც ეღიარებინათ. ამ წლების განმავლობაში ჩემი პირადი ინვესტიცია 31 მილიონი დოლარია. აქედან ზოგი რამ იმათაც მიიღეს, კრიტიკოსების როლში რომ გამოდიან. როცა უბრალო მოჭადრაკეების პრობლემებზეა ლაპარაკი, დეე, სხვებმაც დახარჯონ თავიანთი მილიონები.

სწორედ ფიდემ დადო ხელშეკრულება „ოქტაგონთან", რომელიც უდიდეს სპორტსმენებთან მრავალმილიონიან კონტრაქტებს აფორმებს. თუკი ასეთი კონტრაქტები ჭადრაკის ჩემპიონებსაც ექნებათ, მაშინ გარკვეულ თანხას ჭადრაკის განვითარების მიზნებისათვის გადავრიცხავთ. „ოქტაგონი" აპირებს საჭადრაკო პარტიების ტრანსლაციასაც. ამიტომაც არის, რომ ჩვენ საჭადრაკო პარტიებისათვის განკუთვნილი დრო შევამცირეთ. ეს უკავშირდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მოთხოვნას — ჭადრაკი უფრო სპორტული გახდეს, რათა ოლიმპიურ სახეობად იქცეს. ისე რომ, საჭადრაკო პარტიებში მოფიქრებისათვის განკუთვნილი დროის შეკვეცა სულაც არ წარმოქმნილა, რომ იტყვიან, „ცარიელ ადგილზე", იგი ფიდეს ახლანდელ ჩინოვნიკებს არ მოუგონიათ. აქ ინიციატივა საკმაოდ ცნობილმა მოჭადრაკეებმა გამოიჩინეს. ამასთან, ეს სიახლე, მაინცდამაინც მკაცრი, სავალდებულო არ არის, არამედ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და ახლა სხვადასხვა შეჯიბრებაში მოწმდება.

# კაპრიატი და კუერტენი



კუერტენი

ჩოგბურთის ექსპერტების აზრი, რომ ანდრე აგასი იანვარში ავსტრალიის ღია ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ „როლან გაროსსაც" მოიგებდა, და, ამრიგად, კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამდა წელს, „დიდი მუზარადის" მოსაპოვებლად, არ გამართლდა. განთქმულმა ამერიკელმა, რომელიც, მიმომხილველთა აზრით, ფიზიკურად სათანადოდ არ იყო მომზადებული, მხოლოდ მეოთხედფინალამდე მიაღწია, აქ კი, პირველი სეტის მოგების მიუხედავად, ფრანგ სებასტიან გროსჟანთან დათმო. ერთი საყურადღებო ცნობაც: მაშინ, როცა აგასი დაწინაურდა, მატჩის საყურებლად მოვიდა აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი, რამაც აგასზე უარყოფითად იმოქმედა, იგი განერვიულდა და ისეთი შეცდომები მოუვიდა, რომელიც მისი კლასის მოთამაშეს იშვიათად ემართება.

ამასობაში მთლიანად გაამართლა იმედები "როლან გაროსის" შარშანდელმა ტრიუმფატორმა გუსტავო კუერტენმა. მან ნახევარფინალში ესპანელ ხუან კარლოს ფერეროს სძლია და ახლა კიდევ ერთ ესპანელს — ალექს კორეტჯას უნდა შეხვედროდა, რომელმაც სწორედ აგასის დამმარცხებელ გროსჟანს მოუგო.

ფინალური მატჩი კუერტენსა და კორეტჯას შორის დასაწყისში დიდი შეუპოვრობით გამოირჩეოდა. პირველი სეტი ბრაზილიელმა მოიგო 7:5, მაგრამ წააგო მეორე 6:7. აი აქ კი, როგორც მიმომხილველებმა აღნიშნეს, ესპანელს ძალები გამოელია და მეტოქეს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია: 2:6, 0:6. კუერტენი „როლან გაროსის" უდავოდ უძლიერესი მონაწილე იყო და საბოლოო შედეგიც სავსებით მოსალოდნელად ჩაითვალა.

ქალთა შორის ფინალში გავიდნენ 25 წლის ჯენიფერ კაპრრიატი (აშშ) და ბელგიელი კიმ კლიისტერსი, რომელსაც 8 ივნისს 18 წელი შეუსრულდა. კაპრიატი ახლა არნახულ აღმავლობას განიცდის. მან ხომ ავსტრალიის ღია ჩემპიონატი მოიგო, ახლა დაძაბულ ბრძოლაში 1:6, 6:4, 12:10 (დააკვირდით მესამე სეტის ამ საოცარ შედეგს!) ახალგაზრდა ბელგიელს სძლია და ამრიგად, წელს უკვე „დიდი მუზარადის" მეორე ტურნირში გაიმარჯვა, „როლან გაროსის" დამთავრების შემდეგ გამოითქვა აზრი, რომ თუ ამერიკელმა ასე გააგრძელა, გამორიცხული არ არის უიმბლდონსა და



კაპრიატი

აშშ-ს ღია პირველობებზე მისი გამარჯვება, რის შემდეგ იგი მოიპოვებს „დიდ მუზარადს". ეს საჩოგბურთო პრაქტიკაში უიშვიათესი რამ გახლავთ, რაც უკანასკნელად 1988 წელს ლეგენდარულმა შტეფი გრაფმა გააკეთა.

როგორც ასპარეზობის დამთარების შემდეგ კაპრიატიმ განაცხადა, იგი საგანგებოდ ემზადებოდა „როლან გაროსისათვის" და თავიდანვე პირველი ადიგლისათვის ბრძოლას აპირებდა. ამავე დროს აღნიშნა ახალგაზრდა ბელგიელის დიდი შეუპოვრობა და თქვა, რომ კიმ კლიისტერს, რომელიც ფაქტობრივად მხოლოდ ახლა იწყებს კარიერას, უდავოდ დიდი მომავალი აქვს.

## ყველაზე დიდი მიღწევები „როლან გაროსში"?

ვაჟთა შორის „როლან გაროსზე" განთქმულმა შვედმა ჩოგბურთელმა ბიორნ ბორგმა 6-ჯერ გაიმარჯვა (1974, 1975, 1978, 1979, 1980, 1981 წლებში), 4-ჯერ კი პირველი იყო ანრი კოშე (1926, 1928. 1930, 1932), 3-ჯერ რენე ლაკოსტი (1925, 1927, 1929), ივონ პეტრა (1943, 1944, 1945), მათს ვილანდერი (1982, 1985, 1988) და ივან ლენდლი (1984, 1986, 1987).



ქალთა შორის უველაზე მაღალი შედეგები ჰქონდა კრის ევერტს, რომელმაც „როლან გაროსზე" 7-ჯერ გაიმარჯვა (1974, 1975, 1979, 1980, 1983, 1985, 1986), 6-ჯერ — შტეფი გრაფმა (1987, 1988, 1993, 1995, 1996, 1999), 5-ჯერ — მარგარეტ კორტმა (1962, 1964, 1969, 1970, 1973), 4-ჯერ — ჰელენ ვილს მუდიმ (1928, 1929, 1930, 1932), 3-ჯერ — ჰილდე სპერლინგმა (1935, 1936, 1937).

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

სპორტი ცისფერ ეკრანზე

12–14 ივნისი

**(2 ივნისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (14.05), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 20.00). ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***ESPN.*** სპორტის ახალი ამბები (07.00, (8.30, 22.30, 23.30), ***EUROSPORT.*** მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება (11.30, (7.00), მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა (13.00), ფეხბურთი. ევროგოლები (15.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.00), ***НТВ плюс футбол.*** „საფეხბურთო არქივის არხი": ევროპის ჩემპიონატი. დანიის ნაკრები – ჰოლანდიის ნაკრები (13.15), რუმინეთის ნაკრები – პორტუგალიის ნაკრები (17.25), ინგლისის ნაკრები – გერმანიის ნაკრები (19.25), სლოვენიის ნაკრები – ესპანეთის ნაკრები (23.35), ***НТВ плюс спорт.*** „ბილიარდის მეფეები" (12.40), ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი: პოლონეთი – ჩინეთი (22.00), ხორვატია – კუბა, ქალები (0.10), კიკბოქსინგი. პროფესიონალთა მატჩი (1.30).

**(3 ივნისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 20.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.40, 20.00), ***ESPN.*** იტალიის საფეხბურთო მიმოხილვა (12.00, 17.30), კალათბურთი. ნბა. „ფილადელფია-76" – „ლოს ანჯელეს ლეიკერსი, პირდაპირი (06.00), ***EUROSPORT.*** ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი (14.30), მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება (14.30), ბადმინტონი. მსოფლიო ჩემპიონატი (23.30), ***НТВ плюс футбол.*** „საფეხბურთო არქივის არხი": ევროპის ჩემპიონატის ნაკრებთა მატჩები. ნორვეგია-იუგოსლავია (13.15), თურქეთი – ბელგია (17.15), იტალია – შვეცია (19.30), ინგლისი – რუმინეთი (0.00). იტალიის საფეხბურთო მიმოხილვა (21.15), კონფედერაციის თასის ჰიტ-პარადი (22.15), ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი: ხორვატია – კუბა, ქალები (16.15), რუსეთი – იაპონია (20.10), კუბა – ჩინეთი (23.55), ტაილანდური კრივი. პროფესიონალთა ორთაბრძოლები (21.45).

**(4 ივნისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.25), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (14.00), სპორტის ახალი ამბები (16.30, 22.00, 02.30, 05.30), „რაგბის სამყარო" (04.00). ***EUROSPORT.*** მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (12.30), ბადმინტონი. მსოფლიო ჩემპიონატი (16.00), საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ტური (17.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (1.30, 3.45). ***НТВ плюс футбол.*** „საფეხბურთო არქივის არხი": ევროპის ჩემპიონატის ნაკრებთა მატჩები. პორტუგალია – გერმანია (13.15), იუგოსლავია – ესპანეთი (19.15), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.00), კონფედერაციის თასის ჰიტ-პარადი (15.50), „მსოფლიო ფეხბურთი" (22.10), კონფედერაციის თასი. ნახევარფინალი (23.05), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (0.50). ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა. ფინალის მე-4 მატჩი (1.30, მიმოხილვა – 23.30), ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი, ქალები (15.10, 22.00, 0.00).

გაზეთ „ლელოს" რედაქცია სამძიმარს უცხადებს გაზეთ „შანსის" რედაქტორის მოადგილეს თემურ ჟღენტს ძმის გარდაცვალების გამო.

## საჭადრაკო ამოცანა

ჯემალ მახათაძე
(ზესტაფონი)



შამათი 2 სვლაში

„ლელოს" №43-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:
1. ეf3! მუქარა 2. მc3X.
1. ...კe5 2. მc5X. 1. ...კb4 2. ეf4X.
1. ...მ:f3 2. კg6X. 1. ...კf4 2. ე:f4X.



## კროსვორდი № 45 ● შერეული

**თარაზულად:** 1. გუნდური შეჯიბრება მძლეოსნობაში, ცურვაში და ა.შ. 4. ახალი ქართული სპორტული გაზეთი, 8. ევროპის სახელმწიფო, 10. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი, 11. ფუტკრის ოჯახი, 14. ვეტერანი ქართველი ფალავანი, 15. იგივეა, რაც ჰუკი კრივში, 19. ავღანეთის დედაქალაქი, 21. ლეგენდარული ქართველი ალპინისტი, 23. თეთრი ქსოვილი, რომელიც ჩარჩოზეა გადაკრული კინოს საჩვენებლად, 24. რკალისებური გადახურვა, რომელიც აერთებს კედლებს, 25. პირველი კოსმონავტი.

**შვეულად:** 1. წარსულში ქართველ მოჭიდავეთა ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, 2. საყაიმო შედეგი ჭადრაკში, სხვაგან... 3. ჩოგბურთელ კურნიკოვას სახელი, 5. სმას გადაყოლილი, 6. წარსულში ცნობილი უნგრელი ფეხბურთელი, 7. წინდი, საწინდარი, ანუ... 9. მდინარე აფრიკაში, 12. შეჯიბრებაში დაწინაურებული, 13. გერმანიის პირველი ბუნდესლიგის საფეხბურთო კლუბი, 16. საქართველოს მხარე, 17. ჩეხეთის დედაქალაქი, 18. იტალიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, 19. კეთილი, მადლიანი ადამიანი, 20. აჩრდილი, მოჩვენება, 22. ყოფილი ფრუნზეს საფეხბურთო გუნდი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 2. პაპი, 4. ეში, 9. ჩანგი, 10. ანექცია, 11. გირი, 13. არია, 14. ტროა, 17. „ალიონი", 19. კრამნიკი, 22. ტალინი, 24 კალიფორნია. **შვეულად:** 1. ჩია, 3. პაიჭაძე, 5. „შარლოტი", 7. ეგერი, 8. ჩემპიონატი, 12. „მარაკანა", 15. დვირი, 16. ლიკანი, 18. ონი, 20. ნოტა, 21. ურო, 23. ნოა.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.